საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია.
ხუთშაბათი, 17 აპრილი 1919 წ.
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ერთობა

ფასი 75 კაპ.

ფასი: 1 თვით 18 მანეთი ცალკე ნომერი ღირს 75 კაპ. განცხადებების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 25 მან. სარჩელი განცხადება უნდა მოიტანონ იქამდე არა უგვიანეს დღისით 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ ხელნაწერთა შესახებ რედაქცია არ იბარებს, [illegible] მიწერ-მოწერას კისრულობს.

მუდმივ მონაწილეებმა უნდა მიმართონ [illegible] ფოსტის ყუთი № 199 გაზ. „ერთობის" რედაქცია სხვა ადრესით გამოგზავნილ წერილს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში მიმართვა შეიძლება ყოველ დღე 10—12 საათამდე რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 86
ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.
№ 86

Тбилисский филиал ИМЭЛ при ЦК ВКП(б)
Библиотека
1030
ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებულნი და მუდამ მგლოვიარენი მშობლები გიორგი და ფოტინე, მამიდა ეფროსინე, ძმები: ვალიკო, ალექსანდრე, სამსონი, სევერიანე და კოლია, დები: ნადია და თამარა, რძლები: ნინა ლუკას ასული და ნინა გიორგის ასული, ძმის წული პატარა ხუტუნა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს მუდამ დაუვიწყარი

**ნინიჩკა გიორგის ასული თხილავას**

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის ცხედარს წაასვენებენ ქალაქ თფილისიდან სოფელ დანირში, (2—1)

ღრმად დამწუხრებულნი ქელიტონ, მზეჟა და სტეფანე ნიკურაძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს პირველის და მეორის რძლის დისა, ხოლო მესამისა მეუღლის დისა

**ნინიჩკა გიორგის ასული თხილავას**

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის ცხედრის დაკრძალვა მოხდება სოფელ დანირში.

გულმოკლული დედა მარინე, მეუღლე ნინა შვილებით მაშა და გრიშათი, ძმა გერასიმე და დაი ნინა დონდოლაძეები, ბიძაშვილები: ივანე სიმონიშვილი და მიხაკო თაკანაძე, ღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათთვის ძვირფასი და საყვარელი

**სერგო კონსტანტინეს ძე დონდოლაძის**

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება გურიაში წმინდა კირილეს ეკლესიაში ხუთშაბათს 17 აპრილს 12 საათზე.

ღრმად დამწუხრებული შვილები: ემილი და მელიტა, სიძე სვიმონი, რძალი თამარა, მაზლის წული გიორგი და შვილის შვილები: ქეთო, თამარა, ქორუკა და ლონია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 15 აპრილს გარდაიცვალა ქ. ქუთაისში

**ბარბარე გრიგოლის ასული სირბილაძე**

დაკრძალვა მოხდება აპრილის 17 ქ. ქუთაისში.

ღრმად დამწუხრებულნი: გიგო ბერის ძე ჯაში შვილებით: მირიან, ილიკო, მიშა, ესმა, ელენე, სანდრო და ქეთოთი აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ დღეს ხუთშაბათს, 17 აპრილს შუადღის 12 საათზე მიცვალებულის სასაფლაოზე (წმინდა ნინოს სასაფლაო, კუკია) ჩადებული იქნება [illegible] პირველის დაუვიწყარი მეუღლის და დანარჩენთ საყვარელი დედის

**ნინო ზურაბის ასული ჯაშის**

სულის მოსახსენებელი

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე სარა (ადოკო) კიკოს ასული, შვილები: სონია და თებრონია, სიძე ილიკო ანტონის ძე სალუქვაძე, ძმისწული თეოფანე იორამის ძე არჩუაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 15 აპრილს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

**ისაკ როსტომის ძე არჩუაძე.**

გამოსვენება მოხდება ბინიდან 17 აპრილს, დილის 10 საათზე. დიდუბე (მე-12 კომისარიატი), [illegible] ქ. № 2. წაასვენებენ წმინდა ნინოს ეკლესიაში

ქალაქ ფოთის ნავთსადგურის მოსამსახურენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს

**ეგნატე ივანეს ძე ნარსიას**

უდროოდ გარდაცვალებას.

[illegible] ძე ყაზარიანცი მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს

**ეგნატე ივანეს ძე ნარსიას**

გარდაცვალებას.

## მესხეთი და ჯავახეთი
## შიმშილს განიცდის, უპატრონო ობლები პურს ითხოვენ.

მოქალაქენო, მოიხადეთ თქვენი მოვალეობა, გაიღეთ თქვენი წვლილი, გაუწოდეთ ძმური ხელი ტანჯულ მოძმეთ.

შემოწირულება მიიღება მესხეთ ჯავახეთის დამხმარე კომიტეტის ბინაზე, გოლ. პრ. ს. № 24, ყოველ დღე დილის 11—2 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.

მესხეთ ჯავახეთის დამხმარე კომიტეტი.

## დენიკინის საფრთხე

თფილისში მიღებულ ცნობებით სოჭის ოლქში სახალხო აჯანყება გენერალ დენიკინის წინააღმდეგ.

ჩვენთვის მოულოდნელ რამეს არ წარმოადგენს ეს აჯანყება. სანამ სოჭის ოლქი მისი დემოკრატიის სურვილის თანახმად საქართველოსთან იყო, იქ დემოკრატიული რეფორმებიც ტარდებოდა ცხოვრებაში. უმთავრესი ამ რეფორმებთაგან მიწის საკითხის მოწესრიგება იყო, რასაც ჩვენი მიწათმოქმედების სამინისტრო ენერგიულად აწარმოებდა.

დენიკინის ბატონობამ ამ ოლქში ძირიან-ფესვიანად შესცვალა ცხოვრება: ჯართან ერთად დაბრუნებულმა მემამულეთა ჯგუფმა ჯავრი იყარა დემოკრატიაზე და ის კვლავ მონობის უღელში შეაბა და რა გასაკვირია, რომ ხალხი, რომელმაც ერთხელ იგემა თავისუფლების ტკბილი ნაყოფი, მონობის უღელს ვერ შეეგუებოდა.

როგორ დააფასა ეს აჯანყება სოჭის ოლქში მომქმედმა შავმა სარდლობამ? ამის პასუხს იძლევა გენერალი ბერნგეინი, რომელიც თავის განცხადებაში საქართველოს მთავრობას სდებს ბრალს ამ აჯანყების მოწყობაში.

ეს ბრალდება ჩვენ თავისთავად არ გვაინტერესებს. ჩვენი დემოკრატია ნაჩვევი არაა საიდუმლო და ორპირ პოლიტიკას წარმოებას. მან თავიდანვე გულახდილად განაცხადა, რომ სოჭის ოლქს დროებით დაიჭერს თანახმად ადგილობრივ დემოკრატიის სურვილისა და საქართველოს საზღვრების უზრუნველსაყოფად. დენიკინმა კი ბოროტად ისარგებლა როგორც ჩვენი პირდაპირობით, ისე ინგლისის სარდლობის ნდობით და ქურდულად, ავაზაკურად დაუცა თავს და ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებში შემოიჭრა. მაგრამ ის არც ამით დაკმაყოფილდა და არა მარტო თავხედურად გადალახა ინგლისის წინადადება ავაზაკურად დაჭერილ ოლქის დაცლის შესახებ, პირიქით, სოხუმის ოლქზედაც გამოგვედავა.

თავისთავად ცხადია, თუ რა ფასი და ღირებულება შეიძლება ჰქონდეს ასეთი ხალხის ბრალდებას და განცხადებას.

მაგრამ აქ საყურადღებოა სხვა გარემოება. დენიკინს, რომლის მიზანია მონარქისტულ რუსეთის აღდგენა, ჩრდილოეთიდან ბოლშევიკები აწვებიან და შემოსევას უქადიან და ასეთ პირობებში მას დარჩენია ერთი რამ: დაიპყროს საქართველო და შემდეგ მთელი კავკასია, აქ გაიკეთოს საბრძოლველი ბაზა და შემდეგ აქედან შეუდგეს ბოლშევიკების წინააღმდეგ ოპერაციების წარმოებას. ამით აიხსნება მისი შემოსევა მთიელთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე და სოჭის და გაგრის რაიონში გაჩერება. სოჭის აჯანყებას სწორედ ამ მხრით აქვს მნიშვნელობა.

დღემდის დენიკინი უშიშრად იდგა ერთხელ დაჭერილ ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილზე: მას ერთის მხრით შიში ჰქონდა ბოლშევიკების, ხოლო მეორე მხრით მცხოვრებთა აჯანყების. დღეს კი ეს აჯანყება უკვე ფაქტია და მდგომარეობა უძნელებს დენიკინს, როგორც აჯანყების ჩაქრობას, ისე სოხუმისაკენ გამოლაშქრებას, რომ ამ გზით განახორციელოს თავისი საბოლოო მიზანი — ოცნება—საქართველოს სრული განადგურება, ხოლო ახლო მომავლისათვის მოსაზღვრე დემოკრატიის დაუძლურება და თავისი ბნელი მოღვაწეობის გაძლიერება.

დიდი საფრთხე მოელის ჩვენს ქვეყანას ამ შავი გენერლის შეიარაღებულ ძალებისაგან.

საქართველოს ხალხი მზად უნდა იყოს, რომ პირველ მოხერხებულ შემთხვევით ისარგებლოს და მოსული მტერი საბოლოოდ ალაგმოს.

## რუსეთი პარიზის კონფერენციაზე

ევროპის იმპერიალისტები იყოფენ დედამიწას. დაპყრობილი და დამარცხებული ქვეყნების მიწები უკვე ასე თუ ისე დაინაწილეს დიდის ჯახით და უკმაყოფილებით, მაგრამ მაინც გამონახეს შეთანხმებული ხაზი.

ახლა ჯერი მიდგა თვით მოკავშირე სახელმწიფოების მეექვსე-წილის დაპყრობაზე. ასეთია რუსეთი. რევოლუციის პირველ ხანებში იგი შეთანხმების სახელმწიფოებს ედგა გვერდში და მათთან ერთად [illegible] მსხვერპლს სწირავდა იმპერიალიზმის საკურთხეველზე.

მაგრამ შინაური მოუწყობლობისა და სისუსტის გამო ბრძოლის ველზე დაეცა. ძლიერი მოკავშირეთა, დაგვიანებულმა დახმარებამ ვერ იხსნა იგი ამ მწარე ხვედრისაგან. დიდ იმპერიალისტთა ფერხულში ჩაბმამ გამოსწურა მისი ძალები და იგი მიწას დაანარცხა. ევროპის მოკეთეებმა ისარგებლეს მისი ნაშრომით, სისხლით, ბრძოლით, და [illegible] დაცემის პირველი დღიდანვე. ბრესტი გახდა სამუდამო რუსეთის შეთანხმების სახელმწიფოთა თვალში. იგი მოღალატედ იქნა აღიარებული და ბრესტის ავტორი—ბოლშევიკური მთავრობა დღემდეც არ იქნა ცნობილი ევროპის სახელმწიფოთაგან. ეხლა, როცა შუა ევროპის სახელმწიფოები დამარცხებულნი არიან და ომის შედეგები უნდა გამარჯვებულებმა დაინაწილონ, რუსეთს ამ დანაწილებაში წილი არ უდევს. იმპერიალისტური ლუკმა რუსეთს არ ერგება. მას დღეს არც სურს ასეთი ლუკმა მიიღოს. მაგრამ—[illegible] ისტორიის განაჩენს—მას თვით უპირებენ მეგობრები განაწილებას.

და ამის გარშემო სწარმოებს დღეს ბრძოლა პარიზის კონფერენციაზე.

საკითხი, ბოლშევიკების მთავრობის ცნობისა თუ უარყოფისა—არის საკითხი არსებითათ რუსეთის სიმდიდრით სარგებლობისა.

საფრანგეთის თავის მილიარდები, რუსეთში დაბანდებული, უკარნახებენ ისეთ მთავრობის შექმნას, რომელიც ვალის გადამხდელი იქნება, ესე იგი, არა ბოლშევიკურის. ამიტომ იგი ამ უკანასკნელთ არც სცნობს.

მაგრამ ბოლშევიზმს შეუძლია ძველი ვალდებულების უარყოფით ახალ მეტოქეებს გაუხსნას გზა რუსეთის სიმდიდრეთა დასამუშავებლად. ამას გრძნობს და ხედავს ამერიკა.

და ვილსონიც დემოკრატიულ ტოგაში გამოწყობილი, მეგობრის სახელით მოდის. ბოლშევიკების ცნობას უჭერს მხარს და სამაგიეროთ მისგან მოელის ამერიკის კაპიტალისთვის მსუქან გამოსარჩენს.

მას ერთი მხრით წინადადება შეაქვს კონფერენციაზე ბოლშევიკური მთავრობის ცნობის შესახებ, იმავე დროს, მეორე მხრით რუსეთში კონცესიების აღებას ეპირება იმავე ბოლშევიკებისაგან.

ამ რიგად ბოლშევიკების ცნობა არ ცნობის საკითხში იქცევა რუსეთის ექსპლოატაციის საკითხად. ვის დარჩება იგი ხელთ?

აი საკითხი.

ამიტომ ბოლშევიზმის საკითხი იწვევს მწვავე კონფლიქტს. აქ მეტად რთული პრობლემაა ევროპის გამარჯვებულ კოალიციის წინაშე. ან ადვილად შეიძლება ამ ნიადაგზე შეთანხმების იმედი სრულიად გაქარწყლდეს, ან და საფრანგეთმა, როგორც უფრო სუსტმა მოკავშირეთა შორის, აქაც დასთმოს, და ამერიკამ საფრანგეთის ბურჟუაზია [illegible] დასტოვოს.

მაგრამ ასეთი დაყოფის და დანაწილების პროცესი სასტიკ წინააღმდეგობას შეხვდება სულ ახალი მხრივ. მუშათა დემოკრატია ევროპისა დარაჯად დგას და ბურჟუაზიულ კლასების ალაგმვაზე ზრუნავს. რამდენადაც იგი თავის მისწრაფებას რეალობად აქცევს, იმდენად ეს ბურჟუაზიული პრობლემა გადატრიალდება და მის ადგილს ახალი პრობლემა—ერთა ძმობა და სოლიდარობა დაიჭერს.

აქეთკენ მიისწრაფვის დღეს რევოლუციური კლასი—პროლეტარიატი. და ამ მიზანს ადრე თუ გვიან ის კიდეც მიაღწევს.

იმპერიალისტებს არ შეუძლია წამოყენებულ წინააღმდეგობათა გადაჭრა. პროლეტარიატს შეუძლია მათი გაუქმება. ამაშია ძალა ამომავალი კლასის და საწინდარი მათი მომავალში გაბატონების.

## დამფუძნებელი კრება

15 აპრილის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

მდივანი გ. ნათაძე კითხულობს ახალქალაქის მაზრის გლეხთა საბჭოს მიერ გამოგზავნილ მილოცვის დეპეშას, მდივანი კითხულობს აგრეთვე სოც. ფედ. ი. გედევანიშვილის განცხადებას, რომელიც თავს ანებებს დამფუძნებელ კრების წევრობას: მის ადგილს დაიკავებს ს. ფედ. მე 9 კანდიდატი თ. ღლონტი.

ალ. ლომთათიძე მოახსენებს დამფუძნებელ კრებას, რომ პრეზიდიუმის სახელზე შემოსულია ათამდე თხოვნები, ნაწილი ამ თხოვნების სამოქალაქო საქმეებს შეეხება, ნაწილი სისხლის სამართალს. მთხოვნელები პატიებას და შეწყალებას ითხოვენ. პრეზიდიუმი უხერხულ მდგომარეობაშია, არ იცის რა გზას დაადგეს ამ შემთხვევაში. საჭიროა გამოირკვეს პრინციპიალურად ეს საკითხი.

არსენიძე აქ წამოყენებული არის მეტად მნიშვნელოვანი პრინციპიალური საკითხი შეწყალების შესახებ. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ კითხვას, ჩაერიოს თუ არა დამფუძნებელი კრება ამ გვარ საქმეებში. თუ ასეთ თხოვნებს სხვა გზა მისცეს, მოქალაქეთა თხოვნებს რაიმე კანონიერი გამოსავალი უნდა გამოუნახოთ. ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოთ უნდა გადაიჭრას, საჭიროა ყველა ის მასალები, რომელიც შემოსულია, გადაეცეს იურიდიულ კომისიას, რომელიც გამოარკვევს თუ პრინციპიალურად რა მიმართულება მიეცეს ამ საკითხს.

რ. არსენიძის წინადადება მიიღეს.

სარედაქციო კომისიის სახელით სოლოღაშვილი კითხულობს საბოლოო ტექსტებს: მოსამსახურეთა ავანსის მიცემისა, მოსამსახურეთა სალიკვიდაციო კანონის მე-2-ე მუხლის შეცვლისა, პროექტი დეკრეტისა ქალაქებში დაუსახლებელ მიწებზე ალკრძალვის დადებისა.

დ. შარაშიძე მოახსენებს კრებას კანონ პროექტს შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ორი მილიონ მან. გადაცემისა ახალციხე ახალქალაქის მაზრებში დაზარალებულთა დასახმარებლად. კანონ-პროექტი უკამათოდ მიიღეს.

რკინის გზებზე ტარიფის გადიდების კანონს მოახსენებს ალ. ასათიანი. ეს კანონი შეეხება რესპუბლიკის ყველა რკინის გზებს და 1917 წ. 10 ივნისამდე არსებული ტარიფი გადიდდება შემდეგ ნაირად: 1 კლასის ფასი 15 ჯერ, მე-2 კლასის 12 ჯერ, მე-3 და მე 4 კლ.—10 ჯერ. ბარგის გადატანა არსებულ 1917 წლ. ტარიფთან 24 ჯერ გადიდდება. 10 ივნ. 17 წლამდის არსებული ტარიფი გამრავლდება 15 ჯერ, 12 ჯერ და 10 ჯერ. დაახლოვებით არსებულ ფასთან ტარიფი გადიდდება 100 პროც. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ თანახმად 1918 წ. 26 დეკემბრის აზერბეიჯანთან დადებულ ხელშეკრულების, რკინის გზებზე ერთგვარი ტარიფი უნდა არსებობდეს. აზერბეიჯანის რკინის გზებზე ტარიფი უკვე კარგა ხანია გადიდებულია და ასეთი მომატებაც ჩვენც უნდა მივიღოთ და ამით ავიცდინოთ რკინის გზას დიდი ზარალი, რომელიც დღეს მას აქვს.

კანონ-პროექტი მიიღეს. შემდეგი სხდომა დაინიშნა ხუთშაბათს, 17 აპრილს.

## საქართველოს პროფ. კავშირთა ყრილობა

(13 აპრილი, დილის სხდომა).

თავმჯდომარეობს მუხ. ხოჭოლავა.

მოხსენებას აკეთებს აფთიაქებში მომუშავეთა ცენტრალური კავშირის წარმომადგენელი. რესპუბლიკაში, ამბობს ორატორი, 8 პროფესიონალური კავშირია. ამ კავშირებში შედის 1000-მდე წევრი. შარშან მოხდა მათი ყრილობა, რომელზედაც არჩეულ იქნა ცენტრი 18 კაცისაგან შემდგარი. პირველ ხანებში ცენტრი დიდ მატერიალურ შევიწროებას განიცდიდა, მაგრამ შემდეგ ის მოღონიერდა და დაიწყო ნაყოფიერი მუშაობა. ის ამზადებს მოწაფეებს შემდეგ ხარისხისათვის, გამოსცა ჟურნალი და სხვა. დღეს ყველა ეს წევრები იხდიან განსაზღვრულ თანხას და ამით კავშირის ფინანსიური მხარე უზრუნველყოფილია.

გზატკეცილების მოსამსახურეთა წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ წინეთ, როცა ჩვენ რუსეთის ნაწილს შევადგენდით, კავშირში 8,000 წევრი ითვლებოდა, ამიერ-კავკასიის გამოყოფის შემდეგ კავშირში 4,000 წევრი იყო, მხოლოდ დღეს კავშირში შედის 400 წევრი. ყველაზე ნაკლებ ჯამაგირებს გზატკეცილზე მომუშავენი ღებულობენ. უკანასკნელ დროს ჩვენ მივმართეთ შრომის მინისტრს და მან გაატარა მთავრობაში ჯამაგირების მომატება. იმ მცირე ჯამაგირით, რომელსაც ჩვენი მუშები იღებდა—აუტანელი მდგომარეობა იქნებოდა შექმნილი, მაგრამ ჩვენ მოვაწყვეთ სასურსათო განყოფილება, საიდანაც მუშები იაფ ფასებში ღებულობდენ სურსათს. უკანასკნელ დროს შესდგა ხსენებულ კავშირის წევრთა ყრილობა, სადაც დადგენილ იქნა შევიდეს საერთო პროფესიონალურ კავშირში და მასთან ერთად გაიყოს ყოველივე ჭირ-ვარამი.

წვრილი კავშირების წარმომადგენელნი თხოულობენ მოხსენების ნებას. ყრილობამ ნება დართო მათ 5 წუთით გააკეთონ მოხსენება.

ქუთაისის სახელმწიფო დაწესებულებების უმცროსი მოსამსახურეთა სახელით მოხსენებას აკეთებს ბარდაველიძე. ის აღნიშნავს ამ დარგის მოსამსახურეთა მატერიალურ გაჭირვებას და აუცილებელ საჭიროდ სთვლის მათი დახმარება აღმოჩენას.

ბარამიძე, ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელი, აღნიშნავს იმ კონფლიქტს, რომელიც მოხდა ქუთაისში არჩევნების დროს. მოხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის გაგზავნილია ამიერ-კავკასიის კონფერენციაზე და არა ამიერ კავკასიის ნაწილის ყრილობაზე.

სხირტლაძე აღნიშნავს, რომ ქუთაისში არჩევნების დროს მომხდარი სულ სხვა მიზეზებით მოხდა, ვინემ ამას ბარამიძე აღნიშნავსო. არჩევნების დროს საერთო კრებას გამოყოფია 35 კაცი ბოლშევიკები და ესერები და არა ნახევარი, როგორც ამას ბარამიძე აღნიშნავს. მოსამსახურეებს შორის უწინ სხვადასხვაობა იმიტომ იყო, რომ 4—5 დარგის მუშები ერთდებოდენ და უნდოდათ ერთი საერთო ცენტრის შექმნა. მხოლოდ შემდეგ ყველა ეს დარგები შეერთდენ და ეს სხვადასხვაობაც მოისპო.

ცხვედაძე, (მკერვალთა პროფ. კავშირის წარმომადგენელი) ლაპარაკობს, რომ პირველად მათი, ეგრეთ წოდებული „ნესის პროლეტარი" კავშირი ძლიერ ფინანსიური გაჭირვებას განიცდიდა. დღეს კავშირში 450 წევრი ითვლება, ამათში 100 კაცია უმუშევრად დარჩენილი. აქ ზოგჯერ თავს იჩენს კომუნისტური გამოსვლები, რომელიც კავშირს დაქუცმაცებას უქადის. კავშირის გამგეობის ენერგიული მუშაობით ჩვენ იმედი გვაქვს, რომ კავშირი კიდევ უფრო გაძლიერდება.

ექიმთა თანაშემწეების წარმომადგენელი აღნიშნავს კავშირის წარმოშობის ისტორიას და იმ მდგომარეობას, რომელსაც ისინი განიცდიდენ თვითმპყრობელობის დროს. ფერშალი, ამბობს მოხსენებელი, იჯიბოდა ყოველთვის დაეხმარებოდა თუ არ დაეხმარებოდა იგი ავადმყოფს. მაშინ კავშირში შედიოდა 20,000 წევრი. ასეთივე კავშირი არსებობდა ამიერ კავკასიაშიც. ექიმები ებრძოდენ ჩვენს კავშირებს და ფერშლებს არ ქონდათ უფლება შეესრულებინათ ის, რისიც შესრულება მას შეეძლო. როცა შესდგა ამიერ კავკასიის სეიმი, ექიმის თანაშემწეთა კავშირმა მას მოხსენება წარუდგინა უფლების გაუქმების შესახებ, მაგრამ ამავე დროს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და ჩვენი მოხსენება უყურადღებოდ იქნა დატოვებული. ასეთივე მოხსენება წარუდგინეთ ჩვენ მთავრობას, მაგრამ მთავრობამ ეს მოხსენება გადასცა სანიტარულ განყოფილებას და დღესაც პასუხი არ არის. სოფლებში ფერშლები ღებულობენ 250 მანეთს. მოხსენებელი მოითხოვს პრეზიდიუმი გაეცნოს მათ მდგომარეობას და მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს მათ. აგრეთვე მათ უნდა მიეცეთ თავისუფალი მოქმედების უფლება.

დ. ხართიშვილი მოითხოვს გათვალისწინებულ იქნას ფერშალთა შრომა და იმისდა მიხედვით დაწესდეს მათი ჯამაგირის ნორმა. ამას გარდა ფერშლებს უნდა მიეცეთ ფართო მოქმედების საშუალება და ექიმებმა ანგარიში გაუწიონ მათ. ექიმს არ უნდა ჰქონდეს უფლება დაავალოს ფერშალს ის, რის შესრულების უფლება უკანასკნელს არა აქვს.

რესტორნებში მომუშავეთა წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ რესტორანების პატრონები ანგარიშს არ უწევენ მოსამსახურეთა კავშირს და ქირაობენ [illegible] ის, ვინც მათ სურთ, მაშინ, როდესაც კავშირის მრავალი წევრი უადგილოთ არიან დარჩენილი.

მოხსენებას აკეთებს სამანდატო კომისიის წევრი. ყრილობაზე დასწრებია 55 კავშირის წარმომადგენელი, ყველა კავშირების წევრთა რიცხვი უდრის 48,296 კაცს. ამას გარდა არიან 6 ცენტრიდან, რომელიც აერთიანებენ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოებს თფილისისას, ქუთაისისას, ფოთისას, სოხუმისას და რკინის გზის ცენტრალურ კომიტეტს. სულ 81 მანდატია წარმომადგენილი: მათში 68 გადამწყვეტი ხმით, 13 სათათბიროთი. კომისიამ უეჭველად იცნო 65 მანდატი, 8 კი საეჭვოთ. ამის შემდეგ ყრილობამ მოისმინა და დაადასტურა ბაქოს პროფესიონალური კავშირებისადმი მისამართი შემდეგი რეზოლუცია: პროფესიონალური კავშირთა ყრილობამ მოისმინა რა ილია ბედრიძის ცნობა, საიდანაც მან გაიგო, რომ ბაქოს პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლებს საბოლოოდ უარი განუცხადებიათ ყრილობის დასწრებაზე. ყრილობა ღრმა მწუხარებით აღნიშნავს, რომ ბაქოს პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლებმა დიდი შეცდომა ჩაიდინეს, როცა ფორმალური

# დღეს

სოჭის ოლქში მცხოვრებთა აჯანყებები ხდება მოხალისეთა ჯარების წინააღმდეგ.

ზავის ხელშეკრულობა მზათ იქნება 25 აპრილისათვის. ამ რიცხვში მოელიან პარიზში გერმანიის დელეგაციას.

მიუნხენში ჩამოგდებულ იქნა ბავარიის საბჭოთა მთავრობა. საქსონიაში სამხედრო წესები გამოცხადდა.

ბერლინში საბჭოთა ყრილობაზე დამოუკიდებელთა მიერ შეტანილი წინადადება გერმანიის საბჭოთა რესპუბლიკათ გამოცხადების შესახებ უარყოფილ იქნა შეიდემანელთა უმრავლესობის მიერ.

ამერიკის საოკუპაციო ჯარი რეინის ოლქში განუსაზღვრელი ვადით დარჩება.

ტრაპიზონი ინგლისელებმა დაიკავეს.

პარლამენტის 200 წევრი მოითხოვს ინგლისის დელეგაციისაგან, რათა ისინი არავითარ შემთხვევაში არ დასთანხმდენ რუსეთის საბჭოთა მთავრობის აღიარებაზე.

ბოლშევიკების ცნობით, ბახმუტის მიმართულებით საბჭოთა ჯარებმა დაიხიეს, ურალის და ორენბურგის რაიონში მდგომარეობა უცვლელია, ბუგურუსლანის და სარაპულის რაიონებში საბჭოთა ჯარები უკან იხევენ.

---

და ტეხნიკური მიზეზებით ვერ სთქვეს თფილისში ჩამოსვლაზე და ამით საშუალება მოესპეს მათთან ერთად გადაეწყვიტა მუშათა კლასის სასიცოცხლო საკითხები. ყრილობას იმედი აქვს, რომ საქართველოსი და ბაქოს პროლეტარიატი შეეცდებიან, მიუხედავად ამისა, ეროვნების გაგებას, ეროვნებთთან შეთანხმებას და უფრო მჭიდრო კავშირის დაჭერას, როგორც ერთიერთ შორის, ისე საერთაშორისო პროლეტარიატთან და ამით ხელს შეუწყობენ მუშათა კლასის სადღეისო ინტერესების და საბოლოო მიზნის სოციალიზმის განხორციელებას. დასასრულ სხდომამ განიხილა ყრილობის სახელწოდება და დაადგინა: ვინაიდან გამოირკვა, რომ ბაქოს პროლეტარიატთა კავშირების წარმომადგენელნი ყრილობას არ ესწრებიან, ამიტომ ამ ჩრილობას ეწოდოს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა პირველი ყრილობა.

დ. გ.

### შრომის სამინისტროს მოღვაწეობა.

შრომის მინისტრის ამხანაგმა გ. ერაძემ შემდეგი მოხსენება გააკეთა პროფესიონალურ კავშირთა ყრილობაზე შრომის სამინისტროს მოღვაწეობის შესახებ:

შრომის სამინისტრო ისახავს თავის მიზნად მუშათა კითხვების მოწესრიგებას სახელმწიფოში ისეთი უფლებრივი ნორმების და ინსტიტუტების შექმნით, რომლებიც შესაფერისად და რეალურად დაიცავდენ დაქირავებული შრომის ინტერესებს. ამ მიზნის განხორციელება საფიქრებელია მხოლოდ საწარმოო ძალთა ნორმალურ განვითარების პირობებში და ქვეყანაში ნორმალური ეკონომიური და პოლიტიკურ ცხოვრების დროს. მაგრამ სამწუხაროდ შრომის სამინისტროს მოღვაწეობა მთელი დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის არსებობის ხანაში მიმდინარეობს, როგორც პოლიტიკური, ისე უმთავრესად ეკონომიური მიზეზების გამო, მეტად არა ნორმალურ პირობებში. ჩვენ არ გვახსოვს არც ერთი მოკლე პერიოდი, რომ ჩვენ ქვეყანას მშვიდობიანად ეცხოვროს. ბრძოლა გარეშე და შინაური რევოლუციონური ძალებისა, ბრძოლა ზოგიერთი ანარქისტული ელემენტებისა ჩვენში დამყარებულ ახალ დემოკრატიულ რესპუბლიკანურ წესწყობილების წინააღმდეგ არ აძლევდა საქართველოს მუშათა კლასს და სახელმწიფოს ყველა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს ეწარმოებინათ ნაყოფიერი და დადებითი მუშაობა ქვეყანაში. სრული ეკონომიური არევ-დარევა კი, ჩქარი და გაუჩერებელი რეგრესი ქვეყნის საგარეო და საშინაო ცხოვრებაში, შრომის სამინისტროს აცლიდა ყოველგვარ რეალურ ნიადაგს, რომ პრაქტიკულად გაეტარებინა ცხოვრებაში ყველაზე აუცილებელი საკანონმდებლო ახალ შემოღებულობანი შრომის დაცვის დარგებში. შრომის სამინისტროს უხდებოდა ისეთი კითხვების გადაწყვეტა და მოწესრიგება, რომელნიც სახელმწიფოს ნორმალურ პირობებში სრულებითაც არ იქნებოდენ წამოყენებულნი. ასეთია ის ობიექტიური პირობები, რომლებშიაც უხდებოდა სამინისტროს მუშაობა და ამით შესამჩნევად წინასწარ ირკვევა მისი მუშაობის ხასიათი.

### სამინისტროს ორგანიზაცია.

საქართველოს რესპუბლიკის შრომის სამინისტრო გაჩნდა, როგორც მემკვიდრე ამიერ-კავკასიის კომისარიატის და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის შრომის სამინისტროსი. ის მოწყობილ იქნა რუსეთის სახელმწიფოს დროებითი მთავრობის დროს, რადგანაც ეს იყო პირველი შემთხვევა შრომის დაცვის განსაკუთრებული უწყების დამოუკიდებლად არსებობისა. მის ადგილობრივ ორგანოებად ითვლებიან კომისრები შრომისა. შრომის კომისრები უნდა სარგებლობდენ მუშათა მასის სრული ნდობით და ჰქონდეთ უფლება, რომელსაც მათ კანონი აძლევთ. ამ მიზნით დადგენილ იქნა, რომ ისინი ინიშნებიან შრომის მინისტრის მიერ იმ კანდიდატებისაგან, რომლებიც არჩეულნი არიან ამ თანამდებობაზე ადგილობრივი მუშათა ორგანიზაციების მიერ. რომ მათ საკმაო უფლება მისცემოდათ, გაუქმებულ იქნა საფაბრიკო ინსპექცია და მისი ყველა უფლებები და მოვალეობანი გადაეცა კომისრებს. კომისრები მოქმედობენ რაიონებში. პირველ ხანები დანდე კომისარი ორი იყო: თფილისის და ქუთაისის, სექტემბრიდან კი სოხუმისაც. მაგრამ შრომის დაცვის საქმე რომ უკეთესად დაყენებულიყო, აუცილებელი გახდა კიდევ ერთი ორგანოს—რწმუნებულთა—შექმნა, რომლებიც იქნებოდენ სამინისტროს ოფიციალური ორგანოები, რომლებიც აღნიშნავდენ რა შრომის კანონების დარღვევის შემთხვევებს, კი არ მოიმოქმედებდენ რასმე, არამედ შეატყობინებდენ ხოლმე ამის შესახებ შრომის კომისრებს. ეხლა ამისთანა რწმუნებული 8 არის: (ფოთი, შიათურა, ბორჯომი, სიღნაღი, თელავი, გორი, ტყიბული, რკ. გზ. მთავარ-სახელოსნოები), მაგრამ წარმოების გაფართოებისთანავე, აზრია, რომ ამისთანა რწმუნებულების რიცხვი გამრავლდეს ყველა მსხვილ წარმოებებზე. რწმუნებულები ინიშნებიან იმავე წესით, როგორც შრომის კომისრები, მაგრამ ჯამაგირს არ იღებენ და მათ უნაზღაურდებათ მხოლოდ საკანცელარიო ხარჯები. სამინისტრო ჰფიქრობს, რომ მუშებს, ეყოლებათ რა მუდმივად გვერდზე თავისი ამხანაგი—რწმუნებული, შეძლება ექნებათ თავის დროზე ყურადღება მიაქციონ კანონის დარღვევას, ინფორმაცია გაუკეთონ ხოლმე სამინისტროს თავისი მდგომარეობის შესახებ და ამით მისცენ საშუალება სამინისტროს, რომ მანაც თავის დროზე ყურადღება მიაქციოს მუშათა ცხოვრების ყველა მოვლენებს. ავალებს რა რწმუნებულებს აღნიშნონ ყოველთვის შრომის დაცვის კანონების დარღვევის შემთხვევები, შრომის სამინისტრო ამით აიძულებს მათ შეისწავლონ ეს კანონები და გააცნონ ეს კანონები მუშათა მასებს. რწმუნებულთა ინსტიტუტი შემოღებულია 1918 წლ. დეკემბრიდან.

გადავდივართ რა უწყების ორგანიზაციიდან მის მუშაობაზე, საჭიროა აღინიშნოს, რომ თავის მუშაობის დაწყებიდანვე სამინისტროს მოუხდა მეტად ძნელი და რთული კითხვის მოგვარება—ეს იყო ნორმალური და უმტკივნეულო ლიკვიდაცია სხვადასხვა დაწესებულებათა, სადაც იყო რამოდენიმე ათი ათასი მუშა და მოსამსახურე, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ კავკასიის ფრონტთან და რომელთა ცენტრალური ორგანოები თავმოყრილი იყო თფილისში. რამდენადაც განადგურებული და არააქეთ გამოლეული ქვეყნის ფინანსიური საშუალებანი ამის საშუალებას იძლეოდნენ, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ შრომის სამინისტრომ ღირსეულად შეასრულა ეს ამოცანა. თითქმის 2—3 თვის განმავლობაში შრომის სამინისტრო დატვირთული იყო ამ საქმეებით და იმ წესისა და სისტემის წყალობით, რომელიც სამინისტრომ გამოიმუშავა ფრონტის დაწესებულებათა ლიკვიდაციისათვის, ჩვენ შევძელით გვეხსნა შიმშილით სიკვდილისაგან რამოდენიმე ათიათასი მუშა მოსამსახურე, უმთავრესად რუსეთის შორეული ქვეყნებიდან მოსულნი, და შეძლება მივეცით მათ მშვიდობით დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში.

შემდეგ სამინისტროს მთელი მუშაობა მიდიოდა ორის მიმართულებით: 1) მუშათა კანონმდებლობის გამომუშავება და 2) გაფრთხილება და შემსუბუქება კონფლიქტებისა მუშებსა და სამუშაოს მიმცემთა შორის.

### საკანონმდებლო მუშაობა.

საკანონმდებლო მუშაობის დროს საჭირო იყო ანგარიშის გაწევა იმ დროებით მოვლენებთან, რომელნიც წარმოსდგებოდენ მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიურ პირობებისაგან, როგორც მაგალითად: ლიკვიდაცია, ომი, სამუშაო ქირის გადიდება და სხვ.

### 1918 წლის, 5 ივლისის სალიკვიდაციო კანონი.

იმ სურვილმა, რომ შეგვეტანა თანდათანობა და ერთნაირობა აუარებელ დაწესებულებათა ლიკვიდაციაში და შეძლების დაგვარად უზრუნველგვეყო მათთვის დახმარება, მიგვიყვანა იმ აუცილებლობამდე, რომ საჭირო გამოეცეს დროებითი კანონი, რომელიც შეავსებდა რუსეთის კანონმდებლობის ნაკლს. 1918 წლის 5 ივლისის საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ლიკვიდაციის შესახებ, შეტანილი შრომის სამინისტროს მიერ, რომელიც აშენებული იყო ორ პრინციპზე: 1) დახმარება უმუშევრობის დროს. 2) ჯილდო (პენსიის ეკვივალენტი) ნამსახური დროში. (კომპენსაცია შრომის უნარის დაკარგვის დროს) ნორმები, რომლებიც ამ კანონმა დააწესა შეფარდებული იყო იმ მშრომელ ელემენტთან, რომელიც უმუშევრად დარჩა და მოკლე დროში ვერ იშოვიდა მუშაობას.

აუარებელი კითხვები, რომლებიც ამ კანონის გატარების დროს პრაქტიკაში აღმოცენდებოდენ ხოლმე, გადაჭრილ იქნენ საინსტრუქციო წესით.

### კანონი საფაბრიკო ინსპექციის გაუქმების შესახებ.

წესრიგში იდგა განმტკიცება და ლეგალიზაცია შრომის დაცვის ორგანოებისა. საფაბრიკო ინსპექციის არსებობა, თუნდაც ფაქტიურად, იყო არა ნორმალური მოვლენა იმ დროს, როდესაც არსებობდენ შრომის კომისრები. შრომის სამინ. შეიტანა კანონ-პროექტი, რომ საფაბრიკო ინსპექცია გაუქმებულიყო და ყველა მისი ფუნქციები, ტეხნიკური ზედამხედველობის გარდა, გადასცემოდა შრომის სამინისტროს ორგანოებს. ტეხნიკური ზედამხედველობა გადაეცა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს განსაკუთრებულ აგენტებს.

### კანონი დაზღვევის კანონთა დებულების მე 6 სტატიის შეცვლა.

ცხოვრების გაძვირების გამო გადიდებული სამუშაო ხელფასი უნდა გამოიხატოს კანონმდებლობაში იმ შემთხვევაში, როცა კანონი აღნიშნავს სამუშაო ქირის მაქსიმუმსა და მინიმუმს. ამას ადგილი აქვს დაზღვევის კანონებში, როცა სამუშაო ქირის ნაწილი ინახება და არ ირკვევა მისი მაქსიმუმი. დროებითი მთავრობის კანონით ეს მაქსიმუმი განისაზღვრებოდა 10 მანეთით და საჭიროდ იყო ცნობილი, სადაზღვევო კასების ოქმით, რომ ის გადიდებულიყო 21 მანეთამდე. კანონი სადაზღვევო კასების დებულების 65 მუხლის შეცვლის შესახებ მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ.

(შემდეგი იქნება).

## მთავრობის ცნობა

16 აპრილის (№ 84) გაზ. „გრუზია“-ში „ამიერკავკასიიდან“ ცნობა იყო მოყვანილი, რომელიც ამ გაზეთს გადმოუბეჭდავს „ზნამია ტრუდა“-დან, თითქოს ადგილი ჰქონოდეს მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას გენ. ტომსონთან მოლაპარაკებას და თითქოს გენ. ტომსონს ეთქვას, რომ პარიზის საზავო კონფერენციამ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები არ სცნო.

საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ეს ცნობა მართალი არ არის და შეადგენს მხოლოდ ავტორის გამოგონების ნაყოფს.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

16 აპრილი

### გერმანული პრესის ცნობები.

მიუნხენიდან მესამე კორპუსი იუწყება: მეცხოვრე ჯარმა შემოიღო სამხედრო დიქტატურა და მხარს უჭერს გოფმანის სამინისტროს. უკვე დაიწყო მოქმედება მთავარ ქალაქის — მიუნხენის — უკან დასაბრუნებლად. მოქმედება ნაყოფიერია. საბჭოთა მინისტრები დაპატიმრებულია. დოქტორი ლევინი მიიმალა. საბჭოთა მთავრობის 16 ხელმძღვანელი, მათ შორის ლანდაუერი, ვაგნერი და მიუზამი დაპატიმრებულია. სამწუხაროდ, ვერ მოვასწარით სამხედრო საქმეთა კომისარის რეიჰერტის დაპატიმრება. ის იმალება მიუნხენში. მის აღმოსაჩენად მიღებულია ზომები. დაპატიმრებულია აგრეთვე დამოუკიდებელი სოც. დემ. ცენტრალურ საბჭოს წევრები, სიმონის და უნტერლეიტნერის გარდა.

საქსონიის მთავრობამ მთელ საქსონიაში საალყო წესები გამოაცხადა. სამხედრო ძალების ხელმძღვანელობა დაევალა სამხედრო მთავარ-სარდალს. სამინისტრომ მთავარ-სარდლათ დანიშნა დრეზდენში ბრუნო კურჩგოფი. უკანასკნელმა შემოიღო საველე სასამართლო.

ბერლინის პოლიტიკურ წრეებში კმაყოფილები არიან მით, რომ ბავარიამ საკუთარი ძალით ჩქარა მოუღო ბოლო საბჭოთა რესპუბლიკას. საბჭ. დამარცხება შეამცირებს მასის თანაგრძნობას საბჭოთა დიქტატურისადმი. ეს გარემოება კიდევ იმ სიკეთეს მოიტანს, რომ ახლა პარიზის ჩარევის პოლიტიკა ვერ გამოიყენებს ბავარიის ამბებს გერმანიის დანაწილების მიზეზათ. მეორეს მხრით დიდი უნდობლობა მოკავშირეთა სურვილებისადმი გამოიწვია ცნობამ, რომ საარის ოლქის საკითხში საფრანგეთმა ვითომ დიდი გამარჯვება ჰპოვა.

### ინგლისური პრესის ცნობები.

პარიზიდან მიღებულ ცნობებით საარის ოლქის საკითხი საბოლოოთ გადაწყვეტილია. საარის ოლქი ცალკე პროვინციას შეადგენს. აქ დამუშავებულ ქვანახშირს საფრანგეთს მიაწვდიან, რათა დანგრეულ მაღაროების ნაყოფიერება ანაზღაურებულ იქნეს. ამ პროვინციის ადმინისტრაცია ხალხთა ლიგის მეთვალყურეობის ქვეშ იქნება. გერმანიამ დაუყოვნებლივ უნდა გადაიხადოს დიდი თანხა, ამბობენ, 100 მილიონი სტერლინგი. დანარჩენი ვალი დროთა განმავლობაში იქნება განსაზღვრული, მას შემდეგ, რაც კომისია დაასრულებს ყოველგვარ ზარალის შეფასებას.

ხალხთა ლიგის კომისიამ გადასინჯა ხალხთა ლიგის ხელშეკრულების ტექსტი, რომელიც საზავო კონფერენციის საერთო სხდომაზე იქნება წაკითხული. ხელშეკრულების გადასინჯული ტექსტი გამოაქვეყნეს.

ათინიდან დეპეშით იუწყებიან, რომ ინგლისელებმა ტრაპიზონი დაიკავეს.

საზავო ხელშეკრულება მალე დასრულდება. დღეს ისეთი დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ, რომ პრეზიდენტი ვილსონი დარწმუნდა, რომ ყველა საკითხები საბოლოოდ გადაწყდა. იტალიას წინადადება მისცეს დროებით ისარგებლოს ფიუმეთი, მაგრამ ჯერ ჯერობით მას თავისი თანხმობა არ განუცხადებია საზავო კონფერენციას ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია ეს საკითხი და შესაძლოა იტალიის სურვილი, რომ ფიუმე იტალიას გადასცენ, აასრულონ. იაპონიის პოზიცია, რომელიც მან დაიჭირა მის შემდეგ რაც უარი განაცხადა ხალხთა ლიგის წესდებაში თანასწორობის პრინციპის შეტანაზე, საშიში ხდება. დღეს მოვიდა ცნობა, რომ იაპონიის დელეგაციამ გადასწყვიტა დაიცვას უფლება მიმართოს საზავო კონფერენციის პლენარულ სხდომას, რომელიც შესდგება ამ კვირის ბოლოს, ან მომავალ კვირის დასაწყისში. ხმები იმის შესახებ, რომ იაპონია შეურაცყოფილათ გრძნობს თავს ამერიკის მხრით, სიმართლეს არ შეეფერება, თუმცა ფრანგულ პრესაშიც დაიწერა ამაზე. პირიქით, იაპონელები აფასებენ იმ დახმარებას, რომელიც მათ ამერიკის მისიამ გაუწია. ისინი მთელს ბრალს იუზას (ავსტრალია) სდებენ. იუზა კი გულახდილად ამბობს, რომ ის ამერიკის სარგებლობისათვის აწვალებს, რადგან ამერიკას მასზე მეტათ არ სურდა რასათა თანასწორობის პრინციპის მიღება ხალხთა ლიგაში. საერთოდ არ არის საბუთი, რომ საზავო ხელშეკრულების უკანასკნელ კვირებში გამოქვეყნებული პროგრამა შეიცვალოს.

გერმანელ წარმომადგენლებს 25 სთვის მოელიან. მათ გადასცემენ ხელშეკრულებას დაახლოვებით 75 ათასს სიტყვისგან შემდგარს. ხალხთა ლიგა შეტანილ იქნება წინასიტყვაობაში, რომელშიაც აღნიშნული იქნება ზოგადი პრინციპები. ხელშეკრულებაში წინანდელთან შედარებით მხოლოდ ერთი ახალი პირობა იქნება, სახელდობრ ზავის ხელმოწერის შემდეგ მოწინააღმდეგენი მოკავშირეს 80 დღეს ვადას მისცემენ ხელშეკრულების დასამტკიცებლად. ეკონომიური და განსაკუთრებით ფინანსიური პირობები ძალიან რთულია, რადგანაც აქ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ამერიკის დამოკიდებულება, როგორც გერმანიასთან ისე მის მოკავშირეებთან, რომლებიც, რასაკვირველია, ცდილობენ მისი დახმარებით ისარგებლონ ახლო მომავალშიაც ისე, როგორც ახლა.

პრეზიდენტმა ვილსონმა შემდეგი განაცხადა: „რადგან ის საკითხები, რომლებიც გამორკვეულ უნდა იყოს გერმანიასთან ზავის შეკვრის დროისთვის, თითქმის გადაწყვეტილია და მათი ჩართვა საზავო ხელშეკრულებაში სულ ადვილი საქმეა, საზავო კონფერენციის წევრნი აპირებენ გერმანიის დელეგატებს აპრილის 25-თვის გამოიწვიონ ვერსალში. იმედია, რომ ადრიატიკის საკითხი ისე გადაწყდება, რომ იტალია დაკმაყოფილდება.

სანდო საინფორმაციო წყაროებიდან იუწყებიან, რომ რეინის ოლქში მყოფი ამერიკის საოკუპაციო ჯარი იქ განუსაზღვრელ დრომდე დარჩება, ზავის შეკვრის შემდეგ იქ იქნება ამერიკელთა 10 დივიზია, აქედან 7 რეგულიარული, როგორც ფიქრობენ ფრანგ მოხალისთაგან შესდგება. მათ ევაკუაციას ერთი თვე მოუნდებოდა და ამიტომ არ არის. საფიქრებელი, რომ მათ აგვისტომდე გამოიყვანენ რეინის პროვინციიდან.

როგორც იუწყებიან, გერმანიის მთავრობამ ვეიმარიდან ვენაში დელეგატები გაგზავნა ავსტრიის გერმანელების გერმანიასთან შეერთების საკითხზე სათათბიროთ.

აღმოსავლეთ ევროპის მდგომარეობის და გერმანიის კრიზისის შესახებ „ტაიმსი“ ამბობს: მოკავშირენი ფიქრობენ, რომ შეთანხმების სახელმწიფოთა კავშირი ამერიკის მონაწილეობით მთავარ ხელმძღვანელათ უნდა დარჩეს იმ დრომდე, სანამ ეს საჭირო იქნება მათი საერთო და ცივილიზაციის ინტერესების დასაცავათ.

ინგლისის ერთი სახელმწიფო მოღვაწე ადასტურებს, რომ მთავარი საკითხები უკვე გადაწყვეტილია.

ლოიდ-ჯორჯს გადასცეს პარლამენტის 200 წევრის მიერ ხელმოწერილი დეპეშა, რომლითაც სთხოვენ, შეატყობინოს ინგლისის დელეგატებს, რომ ისინი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დასთანხმდენ რუსეთის საბჭოთა მთავრობის აღიარებას.

### ბოლშევიკების ცნობები.

**მოსკოვი.** აპრ. 15. სამხრეთის ფრონტი. ბახმუტის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ხაშეპეტოვკა-დებალცევოსკენ დაიხია. ლუგანის აღმოსავლეთით ბრძოლა გრძელდება. წამოვიყვანეთ ტყვეები. აღმოსავლეთის ფრონტი. ურალის და ორენბურგის რაიონი: მდგომარეობა უცვლელია. ბუგურუსლანის რაიონი. მოწინააღმდეგემ ჩვენი ჯარი შეავიწროვა, რომელმაც ბუგურუსლანის აღმოსავლეთით დაიხია. სარაპულის რაიონი. ჩვენი ჯარი მდ. იკის ხაზზე იხევს. პერმის რაიონი. რკ. გზ. ჩრდილოეთით მტერმა იერიში მოიტანა, მაგრამ უკუ ვაგდეთ. ნოვგოროდი. 14 აპრ. რადგან სახადი და ყვავილი ძლიერ გავრცელდა, ნოვგოროდის საგუბერნიო აღმას. კომიტეტმა ჩაასახლა ბურჟუაზიის ბინებში მუშები. ბურჟუაზია ქალაქს სტოვებს. ვილნო. 15 აპრ. ციხეში რადეკზე თავდასხმა მზადდება. ეს სპარტაკელებმა დანამდვილებით გაიგეს. თავდასხმის ასაცილებლათ რადეკი დერეფანში სასეირნოთ აღარ გამოდის. ბერლინი. 14 აპრილი. საბჭოთა ყრილობაზე დამოუკიდებელთა მიერ შეტანილი წინადადება გამოაცხადონ გერმანია საბჭოთა რესპუბლიკათ, უარყოფილ იქნა შეიდემანელთა უმრავლესობის მიერ.

## ახალი ამბები

იმ დაწესებულებათა და პირთა შორის, რომლებსაც მადლობა გამოუცხადა ნ. ნ. ჟორდანიამ და მისმა მეუღლემ ინნა ივანეს ასულმა მათი ძვირფასი შვილის გარდაცვალების გამო წუხარების გამოთქმისათვის, მოხსენებულ უნდა იქმნენ აგრეთვე: საბერძნეთის წარმომადგენელი, საქართველოს ქათოლიკოსი და ბ-ნ ნაზარიანის ლიტერატურული სალონი.

◆ სოჭის ოლქში მცხოვრებთა უკმაყოფილება მოხალისეთა ჯარების წინააღმდეგ თანდათან იზრდება. სოხუმიდან ჩამოსულების სიტყვით ეს უკმაყოფილება ხშირად აჯანყების ხასიათსაც ღებულობს. მოხალისეთა ჯარმა სოჭის ოლქში შემოსვლისთანავე აღადგინა ძველი წყობილება, რასაც, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდებოდა იქაური ხალხი.

◆ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებისათვის. იუსტიციის მინისტრის ამხანაგმა ს. დ. ჯაფარიძემ, თანახმად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების კანონის მე 8 მუხლისა, დაადგინა: უკანასკნელი ვადა ნაფიც მსაჯულთა საერთო სიების შედგენისა განსაზღვრულ იქმნას ამა წლის მაისის 10-ით, რა დროისთვისაც ზემოხსენებული სიები შედგენილი უნდა იქნას და წარედგინოს სათანადო ოლქის სასამართლოს. ამისდაკვალად, სამინისტრო სთხოვს ყველა ქალაქის თვითმართველობათ და საერობო გამგეობათ ხსენებულ დროისთვის წარუდგინონ ზემოხსენებული სიები ოლქის სასამართლოებს კუთვნილებისამებრ.

◆ თავდასხმა. 15 აპრილს, საღ. 7 საათზე, პ. ხაზერიშვილის ბინაზე შეიჭრენ რამოდენიმე შეიარაღებული პირნი და სიკვდილის მუქარით წაიღეს 11,270 მანეთი.

— ამავე დღეს, შუადღის 1 საათზე რამოდენიმე შეიარაღებული ბოროტგამზრახველები შევიდენ გენ. მდივანის ბინაზე. გაისროლეს რამოდენიმეჯერ და გაიქცენ.

◆ მკვლელობა. 15 აპრილს შუადღის 1 საათზე სასადილოს პატრონი ი. იაშვილმა უცაბედად მოკლა მილიციონერი გ. კობახიძე. მკვლელი დაპატიმრეს.

◆ ლექცია. დღეს, საღამოს 6 საათზე სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებებში დანიშნულია შემდეგი მორიგი ლექციები: პირველ განყოფილებაში (ნაძალადევი): 1) ექ. ტურიაშვილი—„შიგანი“, 2) ექ. მასიურაძე—„ანატომია“; მეოთხე განყოფილებაში (ორთაჭალა): ილია ნაკაშიძის მოხსენება: „საქართ. რესპუბ. დელეგაციასთან ევროპაში თავის მოგზაურობისა და ევროპის ხალხთა დღევანდელი მდგომარეობის შესახებ.

◆ თფილისის საგანგებო სასამართლომ 8 აპრილს გაარჩია საქმე მეცხრე კომისარიატის ყოფილი თანაშემწის გ. ქუთასელის, ამავე უბნის მილიციონერების ი. ჯანელიძის და ნ. კიკნაველიძისა. მათ წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები სასამართლოში დამტკიცდა კერძო ინტერესების და ინტრიგის ნიადაგზე აღმოცენებულად. სამივენი სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა.

◆ დამფუძნებელი კრების სხდომა დანიშნულია დღეს, დილის 12 საათზე.

◆ „ჯეჯილი“ ამა წლის იანვრის ნომერი მიიღო რედაქციამ. ჟურნალი ჩვეულებრივათ სუფთა და შინაარსიანი გამოცემაა. ღირს 4 მანეთი.

### კრებები

დღეს, საღამოს 6 საათზე ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება.

— ხუთშაბათს, საღამოს 5 საათზე თავის ბიუროს ბინაზე, დანიშნულია მე 4 რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი კრება. 4 ნახ. საათზე კი კოლექტივის პრეზიდიუმის სასწრაფო კრება.

— დღეს, 17 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე, მე-6 რაიონის ახალგ. მარქს. ორგ. თავის ბინაზე (სიონის ქ., 12) მართავს მორიგ მეცადინეობას. ამხანაგებს სთხოვენ დაესწრონ.

### პროვინციის ქრონიკა.

**სიღნაღი.** მარტის ბოლო რიცხვებში ქალაქის გამგეობამ გამოიწერა ახლად დაარსებულ სიღნაღის უფასო სამკითხველოსათვის გაზეთები და ჟურნალები. რომელთაგან ბევრი ნაწილი დღევანდლამდის არ მოსდის, თუმც მათი ღირებულება უკვე გაგზავნილია. ეს გაზეთებია შემდეგი: „მშაკი“ „კავკ. სლოვო“, „ჯეჯილი“, „საქართველო“, „ბორბა“.

**ყვირილა.** 26 აპრილს ყვირილაში შემდ. დაწყებითი სკოლის ბინაზე, მოწვეულია შორაპნის მაზრის სახალხო მასწავლებელთა საერთო ყრილობა. ყრილობა გაიხსნება დილის 9 საათზე, გაგრძელდება 2 დღეს.

**ჩოხატაური.** 15 მარტს ბორჯომის სერგიევის საავადმყოფოდან ჩოხატაურში შეცდომით ჩამოასვენეს ახალციხის ფრონტზე ბრძოლაში მოკლული ჯარისკაცი, რომლის სახელი და გვარი გამოურკვეველია. დასაფლავებულია დ. ჩოხატაურში. ვთხოვთ სამხედრო დაწესებულებებს მიაქციონ ყურადღება და გვაწვდიონ დახმარება ზემო აღნიშნულ პირის ვინაობის გამოსარკვევათ.

სახალხო გვარდ. ჩოხატაურის სარაიონო შტაბი.

### განაპირა უბნებში

ამ ბოლო დროს თფილისში ქურდობამ და ძარცვა-გლეჯამ ეპიდემიური ხასიათი მიიღო. ქურდ-ბაცაცები იმდენად გათამამდენ, რომ დღისით, ყველას თვალწინ, ძარცვავენ მცხოვრებლებს და აწიოკებენ ოჯახებს. ამას წინად სოლოლაკში, საღამოს ჟამს თავს დაესხენ ივანე დავითის ძე ქარსელაძეს 6 შეიარაღებული კაცი, შეამტვრიეს ოთახის კარი, წააქციეს თვით ივანე კარსელაძე და სიკვდილის მუქარით და წამებით სთხოვდენ ფულებს. როცა საკმაო ფული ვერ იპოვეს, მაშინ მოაგროვეს რაც კი რამ გაჩნდა ავეჯეულობა სახლში, მოუყარეს თავი ტომრებში და არხეინად გაუდგენ გზას. თვით ნაწვალებ-ნაცემ ივანეს დააყარეს ზემოდან ფიცრები და სიკვდილს დაემუქრენ თუ ხმას ამოიღებდა. ივანემ იმ წამსვე მიმართა მილიციის დახმარების აღმოსაჩენად, მაგრამ, კომისარმა ავტომობილი მოსთხოვა ქურდების დასაჭერად და როცა გაიგო, რომ გაძარცულს არ შეუძლია ავტომობილის შოვნა, კარში გამოაგდეს. ეს ის ივანე კარსელაძეა, რომლის სახლში საიდუმლო სტამბის მოწყობისათვის ძველმა რეჟიმმა გაანადგურა და წაართვა ყველაფერი, რაც კი რამ გააჩნდა.

გ.

### იმათ საყურადღებოთ, ვისაც ეს ეხება.

მსურს ვისაც ჯერ არს იმის ყურადღება მივაქციო ყოფილ სისხლის სამართლის მილიციის უფროსს ბ-ნ მაჟა ჟორდანიას რაინდობაზე.

საქმე შემდეგში იყო: საოცნებო საგნათ გადმომექცა ბინის შოვნა და შევუთვალე ერთ მონათესავე სახლის პატრონს —ოთახი თუ დაიცლება შენს სახლში, მაცნობე რამე მეთქი. რამდენიმე თვეა მოუთმენლად მოველოდი ამ ოცნების სინამდვილეთ გადაქცევას, სახლის პატრონიც მპირდებოდა მხოლოდ იმ პირობით, რომ ერთად მოვეთავსებოდით დროებით.

დიდი ვაი ვაგლახის შემდეგ ერთმა მდგმურთაგანმა დაიცალა 8 ოთახი, გასაღები გადმომცა სახლის პატრონმა და როცა შევკრიბე ნივთები გადასატანათ, სახლი დალუქული დამიხვდა ბ-ნ ჟორდანიას მიერ იმ საბუთით, რომ სახლი მე მესაჭიროებაო. სხვა არავითარი დოკუმენტი დალუქვის ჟამს მას არ ჰქონდა. შემდეგ კი, ნახევარი დღის განმავლობაში, როდესაც დაიმედდა, რომ მის დაბეჭდილ სახლში ვეღარავინ შევიდოდა, მოიტანა სახლის პატრონთან რაღაც ქაღალდი. არ ვიცი, შეიძლება ის ნამდვილ

ეციალური მოწმობა იყო, მაგრამ ეჭ- შემეპარა, ვინაიდან ბინის განყოფილება მოხსნილად იყო გამოცხადებული ესაში და მეორეც,—ქაღალდი უბრალოდ იყო დაწერილი და არავითარი ბინის განყოფილების ბეჭედი და არც ომა იმაზე არ იყო. როდესაც მე შეკითხე, თუ საიდან, ან რა ბეჭდის ბეჭე- ი არ აქვს მეთქი,—მან იმ წამსვე ლზე გაიკრა ხელი და დამიღრიალა: ლეიგით გავაგდებინებ თავსო. მის ეთ ყვირილზე, როგორც თვით იმ ახის წევრნი, ისე სხვა მანდილოსნე- ი შიშისაგან თავზარდაცემულნი კიდ- ებს ეფარებოდნენ. ისიც კი მიბრძანა—ხელები ძირს ჩაუშვიო. მომ- რდა და დამიყვირა: შენ ვინა ხა- ო. რომ იმისი ხმლის მსხვერპლი არ ამხდარიყავი, სხვა ქვეყანაში სა- ყვარლები გამოგზავნე და სიცრუეც კი თქვი—მე ამ სახლის პატრონის ძმა არ მეთქი, რადგან იმას მეტს ანგა- იშს უწევდა გასაღების დასატყუებლად. ოლიციონამ თავის რაინდობაზე და ყვა- ლების დაჭერაზედაც დაიწყო ბაქა- ექი, რომ მეტი გადლინა მოუხდინა ყენზე. ესეც არ იკმარა და იმავე საღამოს, 1 აპრილს, მე-12 კომისარიატში მიყვანა სახლის პატრონის ძმა, როელიც სრულიად არაფერ შუაში იყო, ნ რის გრიგალი იმას, როდესაც ასაღები ჩემს ხელში იყო? არ გვაცა, რომ გასაღები კანონიერის გზით ედავებლ და ძალმომრეობით გადმო ვისივე ხელით დაბეჭდილი სახლი სხვა გასაღებით, თუ გასტეხა. საჭიროა ასეთ მოღვაწეებს ამისთანა რაინდებს აღვეღობისა და ხალხის უღიერსათ მოპრობისათვის. ასეთი პირების მოქმედება ხალხის თვალში ნდობას უკარგავს ჩვენ დემოკრატიულ მთავრობას.

მუშა განო მეტრეველი.

## რკინის გზაზე

**მინისტრის ბრძანება.**

18 აპრილს, სამსახურის საქმეებზე მგზავრობის დროს, მე შევამჩნიე, რომ სადგურებზე უწესრიგობაა, მატარებლების წასვლის შემდეგ არა მგავან, მატა- სადგურებთან მოუვლელობა, დეპეშების გადაცემა დაგვიანებით ხდება.

ზოგ ადგილას, სადგურების სწრაფი დათვალიერების დროს შევამჩნიე მოსამსახურეების მიერ მისი თანამდებობის ასრულების დროს გულგრილობა. გალითად, სადგურ კავთისხევის სადურის მორიგემ დღე-ღამეში არ იცოდა, ომ უნდა მოსულიყო მატარებელი, უმცა მას აცნობეს ჩვეულებრივი წეით გამგზავნი სადგურიდან. მორიგე ელეგრაფისტი კანდელაკი სადგურის ორიგის ნებადართვით თავის თანამდებას არ ასრულებდა. ჩემს კითხვაზე: ად არის? მეპასუხეს სათევზაოდ წავიაო. ასეთი დანაშაულისათვის სადგურის ორიგე დეიდოვი და ტელეგრაფისტი ანდელაკი დათხოვნილი არიან სამსაურიდან, კანდელაკი სამართალში მიემით. ამასთანავე, სამი დღის ვადაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან, ორივემ უნდა დატოვოს რკინის გზის მიდამოები.

ამასთანავე საჭიროდ მიმაჩნია გაფრთხილო, რომ ჩემ მიერ მკაცრი ზომები იქნება მიღებული იმ მოსამსახუეთადმი, რომელნიც არა-კეთილ სინისიერათ ასრულებენ თავის მოვალეოს. ასეთ მოსამსახურეებს დავითხოვ და სამართალში მივცემ.

ეს ბრძანება გამოქვეყნდეს რკინის გზის ხაზზე.

გზათა, მიწათ-მოქმედებისა და შრომის მინისტრი ნ. ხომერიკი.

## დამფუძნებელ კრების კომისიებში

დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიაში შევიდა შემდეგი პროექტი: დეკრეტი დამფუძნებელი კრების წევრთა იმმუნიტეტისა (შეუვალობისა).

1. დამფუძნებელი კრების წევრი ხელშეუხებელია.

2. არ შეიძლება მისი პასუხისგებაში იცემა იმ აზრისა და შეხედულებისათვის, რომელსაც იგი გამოსთქვამს თაის მოვალეობის ასრულების დროს.

3. არც ადმინისტრაციას და არც სასამართლოს, თუ სხვა უწყების მოხელეთ არა აქვთ უფლება დამფუძნებელი კრეის წევრის პირადად გაჩხრეკისა, ვიდრე თვით დამფუძნებელი კრებისაგან ამის ნებართვა არა აქვთ მიცემული.

4. დაპატიმრება და სასამართლოში მიცემა დამფუძნებელ კრების წევრისა შეიძლება მხოლოდ დამფუძნებელ კრების დასტურით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას დანაშაულის ჩადენის დროს ასწრებენ.

5. ანონიერად დაპატიმრებული დამფუძნებელ კრების წევრი უნდა განთავისუფლებულ იქნეს მთელი სესიის განმავლობაში, ვიდრე ამას დამფუძნებელი კრება დაადგენს.

6. დამფუძნებელი კრების წევრის წევრობიდან გამორიცხვა, დაპატიმრება და სამართალში მიცემა უნდა გადაწყდეს დამფუძნებელი კრების სხდომაზე ხმის ორი მესამედის უმეტესობით.

7. დამფუძნებელი კრების წევრების ბინა და ნივთები შეიძლება გაჩხრეკილ იქნეს მხოლოდ სათანადო სასამართლო ორგანოს დადგენილებით ან და დამფუძნებელი კრების დასტურით.

8. ამ დეკრეტის დარღვევისათვის დამნაშავენი დაისჯება, როგორც რესპუბლიკის უმაღლეს პირთა შეურაცხმყოფელნი, ვინაიდან მისი მოქმედებისათვის უფრო სასტიკი სასჯელი არ არის კანონით დადგენილი.

## სახელმწიფო მმართველობის გამარტივებისათვის

(მთავრობას საყურადღებოდ).

ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის ყურადღება მიქცეულია სახელმწიფო აპარატის გამარტივებისა და შტატების შემცირებისაკენ. ეს რა თქმა უნდა, ძალიან შეამცირებს სახელმწიფო ხარჯებს. სამინისტროების შტატების შემცირების შემდეგ, მთავრობა შეუდგება სხვა სახელმწიფო დაწესებულებების რეორგანიზაციას. მინდა მთავრობის ყურადღება მივაქციო სახელმწიფოს ორ დაწესებულებაზე, რომელნიც დიდ-ძალ ხარჯებს მოითხოვენ, მაგრამ საქმისთვის კი ორივეს ერთად არსებობა—უაზრობაა და ზედმეტათ უნდა იქნას მიჩნეული. ეს დაწესებულებები გახლავთ: ნავთსადგურების სამმართველო და საფოსტო დაწესებულებები.

ნუ შევეხებით ფაქტიურ პირველობას ამ დაწესებულებებისა,—შევეხოთ მხოლოდ მათ დანიშნულებას, მაშინ დავინახავთ, რომ სადამღვეო დაწესებულებანი არიან დაწესებულებანი მთასახლეთა, რომელნიც (აქ არაფერს ვიტყვი საკუთარ წარმოების დაცვა-განვითარებაზე, ვინაიდან ამაზე ამ ჟამად ლაპარაკიც ზედ მეტია) · ვალდებულნი არიან ყველა შემოსულ საქონელზე ბაჟი გადაახდევინონ შემომტანთ და მაშასადამე, მთელი კანტროლი ნავთსადგურში ეკუთვნის დამოჟნას. ნავთსადგურის სამმართველო კი არის დაწესებულება მხოლოდ დამხმარე, რაც ცხადად გამომდინარეობს კან. კრებულის მე VI ტომის მუხლებიდან, რომელნიც ამბობენ, რომ გემებისთვის სადგომის მიჩნევა არის დამოჟნის საქმე და ამ მხრივ მას უნდა ემორჩილებოდეს ყველა დაწესებულება ნავთსადგურში.

ძველ დროში ნავთსადგურის სამმართველო არც კი არსებობდა. ნავთსადგურის უფროსის მოვალეობას ასრულებდა იმ დროს სულ უბრალო გემთა ზედამხედველი, ან და მისი ერთ-ერთი თანაშემწე. თუ დავუჯერებთ ბოროტ ენებს, ნავთსადგურების სამმართველო ხელოვნურათ იქნა შექმნილი ძველი რეჟიმის ბიუროკრატიის მიერ, მხოლოდ იმისათვის, რომ მეფის გვარეულობის ერთ-ერთმა წევრმა მოინდომა აუცილებლათ საქმესთან ყოფნა, და ამისათვის კი საჭირო იყო ახალი უწყების დაარსება... მაგრამ ის, რაც ვეებერთელა რუსეთისთვის უვნებელი იყო, პატარა საქართველოსთვის შეიძლება, პირიქით, დიდათ მავნებელი იყოს. მხოლოდ იანვრის განმავლობაში ფოთის ნავთსადგურის სამმართველოზე (გარდა მისი განყოფილებისა—ნავთსადგურის სამუშაოთა) დაიხარჯა 112,548 მან., რაც წლიწადში უდრის 1.351,576 მან. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მოსამსახურეებმა მოთხოვნილებანი წარადგინეს ჯამაგირების 50 პროც. მომატებისა, მაშინ ეს ციფრი, დაწესებულებების შენახვით (სახლის და საწყობების დაქირავება, განათება, გათბობა და სხვ.) ერთიან გაიზრდება.

ეხლა შევეხოთ ნავთსადგურის სამმართველოს საქმიანობას. ნიმუშად ავიღოთ ყველაზე უფრო დიდი ნავთსადგური ჩვენი რესპუბლიკისა—ფოთის. გადავათვალიეროთ, თუ გნებავთ, ყოველწლიური „ანგარიშები" ფოთის ნავთსადგურის სამმართველოსი—დავინახავთ, რომ ცნობები ამ „ანგარიშებში" იბეჭდება—მეორედებიან, ეს ერთი, და მეორეთ, როგორც მე დანამდვილებით ვიცი, ეს ცნობები გამოტანილი აქვს ნავთსადგურის სამმართველოს ყოველ წლის ბოლოს დამოჟნის სამმართველოდან. საქონლის გაცვლა გამოცვლის ცნობების მიწოდება შეუძლია მხოლოდ დამოჟნას. ამას თავი დავანებოთ. ნავთსადგურის სამმართველოს მიერ ნავთსადგურის სასარგებლოდ შემოსულ და გასაცვლელ საქონელზე დაწესებულია გადასახადი, რომლის აკრეფა მას თითონ ვერ მოუხერხებია, ვინაიდან ეს ცნობები (რამდენი გადის საქონელი და რამდენი შემოდის და სხვ.) მას არ მოეპოვება და ამ გადასახადებსაც დღეს დამოჟნა ჰკრეფავს.·

შეიძლება მიგვითითონ იმ გარემოებაზე, რომ ნავთსადგურის სამმართველო (ფოთისა) განაგებს რესპუბლიკის გემებსა და სხვა მცურავ საშუალებათ. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მთავრობის დადგენილებით ნაწილი გემებისა გზათა სამინისტროს ხელში გადადის, ნაწილი კი სამხედრო სამინისტროს გამგებლობაში. და თუ დღემდე რომელიმე გემი კიდევ იმყოფება ნავთსადგურის სამმართველოს ხელში, ის უნდა ჩამოერთვას მას დაუყოვნებლივ და გადაეცეს ერთ-ერთ ზემოხსენებულ უწყებას, რომლის ხელში, დარწმუნებული ვართ, ეს გემი გაცილებით მეტს სარგებლობას მოუტანს რესპუბლიკას. თავისი არა ხელსაყრელი „ხელშეკრულებებით" ფოთის ნავთსადგურის სამმართველომ საკმაოდ საგრძნობი ზარალი მოუტანა საქართველოს ბ.ბ. ღვალისა და ჯაყახიშვილის დროს, რაზედაც გამოძიებაც კი სწარმოებს... ეს ზარალი მილიონობითაა... გემებს, რომელნიც დიდძალ ფულს აკეთებენ და რომელნიც უმთავრესი წყაროა მოხალისეთა არმიის არსებობისა, ექსპლოატაციისთვის სხვა ზომები უნდა იქნას მიღებული. ყოველ შემთხვევაში, ნავთსადგურის სამმართველოს „ექსპერიმენტებმა" და „ხელშეკრულებებმა" საკმაო ზარალი მოგვიტანეს და ამ გაკვეთილებიდან შესაფერი დასკვნებიც უნდა გამოვიყვანოთ...

დარჩა ნავთსადგურის სამმართველოს განყოფილება—ნავთსადგურის სამუშაოთა მმართველობა, რომელიც სულ უკანასკნელად,—მგონი ცნობილ ღვალის დროს,—გადავიდა ნავთსადგურის სამმართველოს ხელში. როგორც გამოცდილებამ დაგვანახვა, ეს დაწესებულება სრულიად განცალკევებული უნდა იყვეს ნავთსადგურის სამმართველოდან—ისე, როგორც წინეთ იყო. ნავთსადგურის სამმართველოს საქმეები კი უნდა გადაეცეს დამოჟნას, რომელსაც ბუჰგალტერიაში და კანცელარიაში მიემატება ამის გამო 2—3—5 კაცი. ვეებერთელა დაწესებულება კი, რომელსაც ეწოდება ნავთსადგურის სამმართველო, გაუქმებული იქნება, და ამით ჩვენი ღარიბი ხაზინა შეინახავს დაუხარჯველათ დიდძალ თანხას.

ეხლა შევეხოთ საბაჟოების მოწყობის საკითხს.

ვისაც ცოტაოდენათ მაინც დაკვირვებულა უცხოეთის თვალ-ყური ჩვენი ნავთსადგურის (ვგულისხმობ ფოთის) დაწესებულებების საქმიანობაზე, ის უთუოდ შეამჩნევდა, თუ რა უხერხულობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ნავთსადგურის დაწესებულებანი იმყოფებიან სხვა და სხვა ქუჩებში და კუთხეებში.

წარმოიდგინეთ გემის კაპიტნის მდგომარეობა, როცა ის პირველად ჩამოდის უცნობ ნავთსადგურებში. ნავთსადგურთან გასვლის შესახებ რომ მან ნებართვა მიიღოს, ის უნდა მივიდეს საჭირო დოკუმენტების მისაღებათ ჯერ გემთა კანტორაში, შემდეგ საბაჟოში ფულების გადასახდელათ, ნავთსადგურის სამმართველოში წასვლის ნებართვის ასაღებით, ნავთსადგურის სამორიგეოში წასასვლელ ქაღალდის მისაღებათ, ბოლოს—ისევ გემების კანტორაში, რის შემდეგ როგორცაა ეღირსება წასვლის საბოლოო ნებართვას. ამაზედაში გემს ხშირად აგვიანდება 2—3 დღე. თუ დაწესებულებები არსებობენ მოქალაქეთათვის, და არა მოქალაქენი—დაწესებულებებისათვის, სასურველია, რომ ყველა ეს დაწესებულებები მოთავსებულ იქმნენ ერთს დიდ შენობაში.

დამოჟნას ჰყავს თავისი საკუთარი მცველები, რომელნიც, სხვათა შორის, კონტრაბანდას დარაჯობენ. მათ ამ საქმეში ეხმარება მრავალ რიცხოვანი რაზმი ჯარისკაცებისა. მიუხედავად ამისა, კონტრაბანდი მაინც დიდძალი გადის,—ეს, არა მგონია, უარყონ თვით დამოჟნის მოხელეებმაც... თავი დავანებოთ შესაძლო ბოროტ-მოქმედებას,—უმთავრესი მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ ნავთსადგურის ტერიტორია ერთიან დიდია და ღია, ასე რომ, მცველებიც ზედრი ესაჭიროება და ვერც მიზანს აღწევენ სავსებით. ერთად ერთი რადიკალური საშუალება, ჩემის აზრით, არის შემდეგი: ნავთსადგურის ტერიტორიას უნდა შემოევლოს დიდი გალავანი) რომელსაც მხოლოდ რამდენიმე ადგილას ექნება გასასვლელი პუნკრები (ინგლისური სისტემის თანახმად), მაშინ კონტრაბანდის გატანაც გაძნელდება, და რაგინიც ნაკლები დასჭირდება საბაჟოს, მაშასადამე შემცირდება ხარჯებიც.

უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ საბაჟოში აქვს დღესაც ადგილი ისეთ ფორმალურ მხარეებს, რომელთაც დრო უკვე მოსჭამეს (აქ ვეხები მხოლოდ საბაჟოების კანონების ისეთ მხარეებს, რომელთაც აქვს ჩვენი რესპუბლიკისათვის შინაური ხასიათი). სამწუხაროთ, საგაზეთო წერილის სივრცე ნებას არ მაძლევს უფრო ვრცლად შევეხო ზემოაღნიშნულ საკითხებს.

საჭიროა მთავრობამ გამოგზავნოს სპეციალისტებისაგან შემდგარი კომისია, რომელიც შეისწავლის ნავთსადგურის პირობებს და შეიმუშავებს ჩვენი რესპუბლიკისთვის შესაფერ პროექტს ნავთსადგურების დაწესებულებათა რეორგანიზაციისთვის,

შალვა ჩიჩია.

## გრიგოლ (ხუტუ) ს. სპარინძელის ხსოვნას.

ბათუმის ტრაგედიამ წაუშლელი დაღი დასტოვა ქართველი ერის ცხოვრებაში. ეს ის დრო იყო, როდესაც ყოველ მხრიდან მტრების მიერ გარშემორტყმული იბრძოდა პატარა საქართველო თვისი ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად და იქ პირველ რიგში იბრძოდნენ ისინი, ვისაც ყველაზე მეტად გული შესტკიოდა სამშობლოს ბედ იღბალზე. მაშინ, როდესაც შეუგნებელი პირები მორბოდნენ იქიდან. იმათ რიცხვში, ვინც თავის სამშობლოს ბედს უფრო მაღლა აყენებდა თავის სიცოცხლეზე და პირად კეთილ დღეობაზე, იყო ამხანაგი გრიგოლ (ხუტუ) სპარინძელი. ის იყო ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა 22 წლის ყმაწვილი. როდესაც ქართველ ერს ბათუმის ტრაგედია თავზე დაატყდა, ის ემზადებოდა საშუალო სწავლის დასამთავრებლად და შესაფერისი ცოდნის შეძენით სწყუროდა ქვეყნის კულტურულ აღორძინებაში მხურვალე მონაწილეობა მიეღო. მაგრამ არ დასცალდა. ის ახალგაზრდული გატაცებით გაეშურა იქ, სადაც ერის ყოფნა-არყოფნის ბედი სწყდებოდა. გასული წლის 18 აპრილს ოსმალებთან ბრძოლაში, მდინარე ოჩხამურის პირად გმირულად დაეცა. ჩვენ მასში დავკარგეთ იშვიათი ენერგიის პატრონი და კარგი ამხანაგი, რომელიც მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ჩვენს პარტიულს მუშაობაში და დიდს იმედს იძლეოდა მომავალში. გაივლის დრო და ქართველი ერი მოწიწებით და კრძალვით მოიხსენიებს მათ, ვინც მის საკეთილდღეოთ და მისთვის ბედნიერების მისანიჭებლად უთანასწორო ბრძოლაში დალია სული და ხელთ უქნელ ძვლებს აღუდგამს მათ თავის გულში: მათ რიცხვში იქნება ამხანაგი ხუტუც.

დიდ, შენი გმირული სიკვდილი გზის მაჩვენებლად დარჩეს იმათთვის, ვინც უდგას დარაჯად და მცველად ერის და დემოკრატიის ინტერესებს. მ. ც.

## საექიმო-სასანიტარო საქმის მდგომარეობა ჩვენში

დღიდან საქართველოს დამოუკიდებლად გამოცხადებისა საექიმო-სასანიტარო დარგში მუდმივი და მკვიდრი არა გაკეთებულა-რა. ჩვენი მთავრობა და პარლამენტიც მხოლოდ „ექსპერიმენტებს" აკეთებდნენ ხალხის ჯანმრთელობის საქმიანობისთვის. ასე ხდებოდა, რადგან მთავრობაში არ იყო სპეციალისტი ჩვენი საქმისა და, თვით პარლამენტის სოციალდემოკრატიულ ფრაქციასაც კი არა ჰყავნდა სპეციალური საექიმო-სასანიტარო სექცია, სადაც უნდა დამუშავებულიყო სხვადასხვა ჩვენი დარგის კანონ პროექტები და ასე თუ ისე გადაწყვეტილიყო სხვადასხვა სპეციალური საკითხები. ამიტომ მოხდა, რომ პარლამენტმა სხვადასხვა დარგებში ბევრი კანონები და სხვა აქტები გამოსცა, მაგრამ ამ დარგში კი მხოლოდ ორი სამი, ისიც ცხოვრებისთვის შეუფერებელი და გასასწორებელი კანონი დასტოვა. ყველა ამას, რასაკვირველია, გასამართლებელი საბუთებიც ჰქონდა, მაგრამ დამაჯერებელია ის შედეგი, რომელიც ამას მოჰყვა. ეპიდემია ეპიდემიას დაერთო. აუარებელი ხალხი გაიჟლიტა. იშვიათია ოჯახი, რომ ან ავადმყოფით, ან მიცვალებულით არ დაზარალებულიყოს. დახოცილთა სიცოცხლე ხომ ვერ დაფასდება, ვინაიდან ადამიანის სიცოცხლე დაუფასებელი ღირებულებაა. და ეს ეროვნული უბედურება დაგვატყდა თავს არა მარტო ზოგადი მიზეზების მსოფლიო ომის და ჯერ დაუმთავრებელი მსოფლიო რევოლიუციის მეცადინეობის გამო. არა. თვალსაჩინო მიზეზი ჩვენი ეროვნული უბედურებისა, ჩვენი დაუდევრობა, ქართველური დაგვიანებითი საქმის დაწყება გახლდათ. წინასწარმეტყველობითი ნიჭი არ იყო საჭირო, რომ თავის დროზე, ნათელრეველ თქმულიყო, თუ რა განსაცდელი მოელოდა ეპიდემიების მხრივ ზოგადი მიზეზებით დასუსტებულ ნახევრად მშიერ-ტიტველ მწუხარე ხალხს, რომელიც ბუნებით პირად და ბინის სიბინძურე-სივიწროვეში, უმძრესი სიმძიმით გამწარებული, დაფაცდა სულს. კიდევ ამბობდნენ რაც საჭირო იყო დაინტერესებულნი პირნი და დაწესებულებები, თავის დროზე მოითხოვდნენ კრედიტებს, მაგრამ ხმა მათი რჩებოდა ხმათ მღაღადებელისა უდაბნოსა შინა.

საექიმო-სასანიტარო საქმისთვის ზაფხულში მოითხოვნილი კრედიტები მხოლოდ შემოდგომა-ზამთარში იძლეოდა, როცა ეპიდემიები უკვე ჩაღდებოდნენ. ისე რომ ბრძოლას ეპიდემიებთან ვიწყებდით არა მაშინ, როცა შეიძლებოდა სანიტარული ზომებით წინ დავხვედროდით ახლად დაწყებულ ეპიდემიას, რომ დაგვეძლია იგი, არამედ მაშინ, როცა სენი ფართოდ მოდებული იყო და მის განდევნას ვლამობდით, მაგრამ მიზანს ნახევრადაც ვერ ვაღწევდით.

ეს იყო ჩვენი სახელმწიფოებრივი მწარე შეცდომა მეტის-მეტად დიდი საზედისწერო შედეგებით დაბოლოვებული.

ამ ბოლო ხანებში ჩვენი სპეციალური საქმისთვის პატარა საიმედო შუქმა გამოანათა. ეს გახლავთ მთავრობაში შესვლა ძველი, ცნობილი, დემოკრატიის მოამაგე-მოჭირნახულე ადამიანისა, სპეციალობით ჩვენი საექიმო სასანიტარო საქმისა და ეს გვაძლევს იმედს, რომ ეხლა დაიწყება ახალი სანიტარული კანონმდებლობითი და საქმიანობითი ხანა საექიმო-სასანიტარო დარგშიაც და გასწორდება ის შეცდომები, რომლებიც არა-სპეციალისტების „ექსპერიმენტების" წყალობით მოხდა.

ექიმი ი. ლომოური.

## ს.-დემ. პარტიაში

### დუშეთის მაზრის სოციალ დემოკრატიულ ორგანიზაციათა მეორე ყრილობა.

(დასასრული)

პარტიული მუშაობის შესახებ ლაპარაკობს გ. ხელთაძე. დღეს როდესაც საქართველოს რესპუბლიკის მართვა-გამგეობა ისტორიამ დააკისრა ჩვენს პარტიას, როდესაც ის ჩაბმულია სახელმწიფოებრივ აღმშენებლობითი მუშაობაში და სხვა დანარჩენი პარტიები კი მას წინ ეღობებიან, ხელს უშლიან, საჭიროა გაცხოველებულ იქნას პარტიული მუშაობა, როგორც ქალაქის, ისე სოფლის მუშათა ორგანიზაციული დარაზმვა ერთ დროშის ქვეშ; და ვინაიდან სოციალ დემოკრატიის გარდა საქართველოში არ არსებობს არც ერთი პარტია, რომელიც თავის მოქმედებით შეგნებულად თუ შეუგნებლად ხელს არ უშლიდეს დემოკრატიულ რესპუბლიკის განმტკიცებას, ჩვენ უნდა ვაკეთოთ ორი საქმე: სახელმწიფოებრივი და პარტიული. მთავრობისა და დამფუძნებელ კრების მიერ მიღებულ კანონ-პროექტების ახსნა განმარტება, სოციალურ ეკონომიურ რეფორმათა მნიშვნელობის და დემოკრატიულ იდეათა გავრცელება უნდა შეადგენდეს ჩვენს ერთ პირველ მიზანთაგანს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენ ჩამორჩენილ მაზრას. დღეიდან ორგანიზაციულ მუშაობას, პარტიულ პრინციპების გაშუქებას და ხალხში დემოკრატიზმის განმტკიცების საქმეს უნდა მიექცეს ჩვენი ყურადღება. მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა მოხსენება პარტიულ მუშაობის შესახებ, დუშეთის მაზრის სოციალდემოკრატიული ყრილობა აღიარებს, რომ დღევანდელ რთულ პირობებში, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის ხომალდის (მესაჭეობა ისტორიამ დააკისრა მხოლოდ ჩვენს პარტიას აუცილებელია პარტიული ორგანიზაციული მუშაობის გაძლიერება და მისი სახელმწიფოებრივ აღმშენებლობითი მუშაობასთან შეფარდება, რის მისაღწევად საჭიროა: 1) დაიყოს მაზრა რაიონებათ, 2) თვითეულ რაიონში დაინიშნოს მაზრის სოც.-დემ. კომიტეტისაგან პასუხისმგებელი პროპაგანდისტი, რომელსაც უნდა დაევალოს ადგილობრივ ორგანიზაციების შექმნა; პარტიის ძირითად შეხედულებათა გაშუქება; დამფუძნებელ კრებისა და მთავრობის მიერ გამოცემულ კანონ-პროექტთა ახსნა-განმარტება და თანამედროვე საჭირბოროტო საკითხებზე პასუხის გაცემა; 3) რაიონის პროპაგანდისტი პასუხისმგებელია სამაზრო კომიტეტის წინაშე და წერილობით მოხსენებას უგზავნის მას თუ ყოველ კვირაში არა, ორ კვირაში ერთხელ მაინც თავის მუშაობის და ორგანიზაციათა მდგომარეობის შესახებ; 4) ეთხოვოს საქ. ს. დ. მ. პ. ცენტრალურ კომიტეტს კიდევ ერთი-ორი პროპაგანდისტის გამოგზავნა; 5) დაევალოს სამაზრო კომიტეტს ადგილობრივ ორგანიზაციებისათვის პარტიულ გამოცემათა და ლიტერატურის სისტემატიური მიწოდება".

ამხ. ბ. მანჯგალაძე. გვარდიის შედგენის საკითხი აქ პირველად სოციალდემოკრატიულ პირველ ყრილობაზე დაისვა. თავდაპირველად გვარდიელების ჩაწერა სწარმოებდა სანდო პირთა თავდებობით. ამ რიგად მივიღეთ 150 კაცი, და კიდევაც გავგზავნეთ სომხეთთან ომის დროს ფრონტისაკენ 180 გვარდიელი. ამის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა გვარდია და უკანასკნელად ახალციხის ფრონტზე სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობდა 286 დუშეთის მაზრის გვარდიელი, რომლებიც საერთოდ სამაგალითოდ იქცეოდნენ. დღეს ხალხი დარწმუნდა, რომ გვარდია მისი პირმშო შვილია და არა თავად-აზნაურების მოიჯრე, როგორც ამას ფიქრობდნენ ბოლშევიკურ აგენტების დროს. უნდა ითქვას, რომ გვარდიის ორგანიზაცია ფერხდებოდა; ამის მიზეზია ის, რომ გვარდიის ხელმძღვანელნი ჩაბმული იყვნენ სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმეებში. ყველაზე საიმედოთ და გამოწრთვნილად ითვლება ჭინის რაიონის გვარდია. ასეთივეა ბაზალეთში და დუშეთშიაც. რაც შეეხება მუხრანს, იქ გვარდიელები აკეთებენ კომისრებისა და მილიციონერების საქმეებს. რაიონის სხვადასხვა სოფლებში გვარდიელები დამოუკიდებლად მოქმედებენ.

მცხეთაში გვარდია წინეთ შესდგა, მაგრამ შემდეგში გარდაიქცა ფედერალისტების პარტიულ რაზმათ. სოხუმის ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ იქ ჩვენი ამხანაგები შეუდგნენ გვარდიის ორგანიზაციას. ამ გარემოებას შეეძლო დაპირდაპირებია ორი ძალა, რამაც აიძულა ჩვენი ამხანაგები, ისინიც შეერთებულიყვნენ. ეს დაადასტურა გვარდიის მთავარმა შტაბმა, რის შემდეგ შესდგა მცხეთის რაიონის შტაბი, რომელშიაც შეთანხმებით გაგვიყვანეთ ფედერალისტების მხრივ 3 და ჩვენი 2. ეხლა მგონია ამ შტაბს სურს გამოგვეყოს ჩვენ და დაუკავშირდეს მთავარ შტაბს, რაც მიზან შეუწონელი ნაბიჯი იქნებოდა.

საგურამოში თუმცა შევქმენით გვარდია და შევადგინეთ შტაბი, მაგრამ არავითარი მუშაობა არ სწარმოებს.

თიანეთში თვით ხალხმა მოითხოვა გვარდიის შექმნა. ჩვენც გავგზავნეთ წარმომადგენელი, შევადგინეთ გვარდია, შტაბი, მაგრამ ფრონტზე წასასვლელად მხოლოდ 7 კაცი მოგვცა ამ რაიონმა.

ასეთი არის ეხლა მდგომარეობა. იმედი გვაქვს ახალი შტაბი გამოიჩენს მეტ მხნეობას და პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას.

ტატე შუბიშვილი ეხება იმ რთულ პირობებს, რომლებშიაც ხდებოდა გვარდიის ორგანიზაცია. შემდეგ ყრილობას მოუთხრობს იმ გმირულ თავგანწირვას და სამაგალითო ყოფა ქცევას, რასაც ადგილი ჰქონდა დუშეთის გვარდიის მხრივ ახალციხის ფრონტზე.

მოხსენების შემდეგ გაიმართა მსჯელობა მცხეთის რაიონის შტაბის გამოყოფის და გვარდიის ადმინისტრაციასთან დამოკიდებულების შესახებ. მიღებულ იქმნა შემდეგი დადგენილება: 1) ვინაიდან მცხეთა პოლიტიკურად და ადმინისტრატიულად დაკავშირებულია დუშეთთან, მაზრის სოც.-დემ. მეორე ყრილობას დაუშვებლად მიაჩნია მისი დუშეთისაგან გამოყოფა და გვარდიის მთავარ შტაბთან პირდაპირი დაკავშირება. 2) გვარდია არ უნდა ერეოდეს ადმინისტრაციის საქმეში და მით უმეტეს არ უნდა მიითვისოს ადმინისტრაციის ფუნქციები. შესაძლებელია გვარდიის დახმარება თუ კი თვითეულ შემთხვევაში ადმინისტრაცია მიიღებს სათანადო ნებართვას გვარდიის სამაზრო შტაბის მიერ ან, სასწრაფო შემთხვევებში, რაიონის შტაბებისაგან.

**დამოკიდებულება ჩვენს ორგანიზაციასთან.**

ი. ფურცელაძის აზრით გვარდია შეადგენს ჩვენს მთავარ სახელმწიფოებრივ ძალას. ამისათვის საჭიროა ყველა ჩვენი თანამგრძნობი გვარდიელი აუცილებლათ ითვლებოდეს პარტიის წევრად და გაცხოველებულ იქნას მათში პარტიული ორგანიზაციული მუშაობა. მიღებულია ერთხმად:

„მიეცეს წინადადება მაზრის ს.-დ. ორგანიზაციებს და ამხანაგებს გვარდიის ხელმძღვანელთ, რომ ყველა ჩვენი თანამგრძნობი გვარდიელები ირიცხებოდნენ პარტიის წევრებად და ჩაბმულ იქმნან პარტიულ მუშაობაში. შტაბი უნდა მოქმედებდეს ს. დ. ორგანიზაციის ხელმძღვანელობით. დასასრულ მიღებულ იქნა დადგენილება: 1) მოისმინა რა მოხსენება დუშეთის მაზრის გვარდიის შესახებ, მაზრის სოც.-დემოკრატიული ყრილობა ამაყობს მისი ახალციხის ფრონტზე გმირული მოქმედებით სალამს უძღვნის მას და იმედოვნებს რომ მომავალშიც დარაჯათ დაუდგება დამოუკიდებელ საქართ. 2) მოისმინა რა მოხსენება გვარდიის შტაბისა, ყრილობა მადლობას უცხადებს მას მოქმედებისათვის და იმედს გამოსთქვამს, რომ ახლად არჩეული შტაბი ყურადღებას მიაქცევს ყველა იმ დეფექტებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა შტაბის მოქმედებაში და გვარდიის ორგანიზაციის საქმეს მკვიდრ ნიადაგზე დააყენებს.

ერობის გამგეობის მოქმედების შესახებ მოხსენებას აკეთებს დ. ჭონიშვილი, საიდანაც ირკვევა, რომ ერობის მუშაობას ბევრი დაბრკოლებები გადაღობებია წინ. უკანასკნელ დრომდე ბინაც არა აქვს. გამგეობაში მუშაობდა მხოლოდ 2 ამხანაგი; ამათთაგანაც ერთი მუდმივ თბილისში იყო აფთიაქის, სანოვაგის და სხვ. სურსათეულობის შესაძენათ.

ნ. ჩიმაკაძე აკეთებს მოხსენებას ადმინისტრაციის შესახებ. მაზრის ადმინისტრაცია უსახსრობის გამო იშლება. ამით აიხსნება ყაჩაღთა ბრბოების გაძლიერება. მილიციაში იმ ჯამაგირით, რომელიც ეხლა არის, საიმედო პირი არ შედის და ვინც იყო თითქმის ყველამ სამსახურს თავი დაანება. ვიდრე ჯამაგირის მომატების საკითხს გადაწყვეტავდეს დამფუძნებელი კრება, საჭიროა რაიმე ღონის ძიების ხმარება მათი ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, თუ გვინდა მაზრის ანარქიისაგან გადარჩენა.

ყრილობამ დაადგინა: 1) მილიციის ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზის გამგეობამ ყოველივე ზომები ადმინისტრაციის მატერიალურად გასაუმჯობესებლად, თუნდაც ხალხის დაბეგვრით, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. დაგზავნოს გამგეობამ თავისი რწმუნებულები ადმინისტრატორთა საქმეების ადგილობრივ სარევიზიოთ. 2) ვინაიდან მაზრაში ყაჩაღობამ მასიური ხასიათი მიიღო, ყრილობას საჭიროდ მიაჩნია ეხლავე აღიძრას შუამდგომლობა მთავ: ვერ შტაბის წინაშე, რათა მოხდეს სასწრაფო განკარგულება ყაჩაღთა ბრბოებთან საბრძოლველად მაზრის გვარდიის ნაწილის მობილიზაციის შესახებ.

ი. ურუშაძე. სასამართლოს შექმნის საკითხი დაუყონებლივ უნდა გადაწყდეს, მაგრამ ჩვენ მაზრისთვის საკმაოა მხოლოდ 8 მომრიგებელი მოსამართლე; ეს მაზრას არ გასწვდება. ერთი უნდა იქნეს მთაში, მეორე ქსნის ხეობაში, მესამე მცხეთა-მუხრანის რაიონში. დაგვრჩა ჟინვალ-ბაზალეთის რაიონი, სადაც მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარეს უნდა დაეკისროს დროებით მოსამართლის მოვალეობა, სანამ მთავრობა მოგვცემდეს მეოთხე მომრიგებელ მოსამართლეს.

მცირე მსჯელობის შემდეგ ერობის გამგეობის წევრებს დაავალეს იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე მეოთხე მოსამართლის მოცემის შესახებ.

წვრილი ერთეულები—მომხსენებელია ი. ურუშაძე. ეხება რა წვრილი ერთეულების დახარჯვით შემოსავლის საჭიროებას, მის კომპეტენციებს, მომხსენებელს შეუძლებლად მიაჩნია დღევანდელ საზოგადოებათა რიცხვის ერთეულების შეფარდება: არც ერთ არსებულ საზოგადოებას არ შეუძლია თავისი კულტურული ძალებით და ფინანსიურადაც წვრილი ერთეულების შექმნა და ადგილობრივ საქმეთა გაძღოლა. ამისათვის საჭიროა საზოგადოებათა გადაჯგუფება, მათი შეერთება. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ყრილობამ მიიღო შემდეგი დადგენილება:

„ფინანსიური სიძლიერისა და კულტურულ ძალების უყოლობის გამო ყრილობას სასურველად მიაჩნია მცირე ერთეულთა რიცხვი რაც შეიძლება მცირე იყოს“.

დასასრულ მოხდა მაზრის ს.-დ. კომიტეტის არჩევნები. კომიტეტში შედიან: ი. ურუშაძე, ვ. ზანკური, ტ. შუშიაშვილი, ლ. პონიშვილი, ნ. ჩიმაკაძე, ი. ქუთათელაძე, გ. ბელთაძე, ლ. ჩხეიძე, პ. მანჯგალაძე, ვ. ბედოიძე და კ. ბუთხუზი.

სარევიზიო კომისიაში არჩეულნი არიან: გ ცეცხლაძე, გ. ფარნიევი და მ. დავითური.

ყრილობა დაიხურა 7 აპრილს საღ. 5 საათზე.

---

ამავე საღამოს შესდგა ახლად არჩეულ კომიტეტის სხდომა პრეზიდიუმის ასარჩევად. არჩეულია თავმჯდომარეთ ი. ურუშაძე, მის ამხ. ტ. შუშიაშვილი, ხაზინადრათ ნ. ჩიმაკაძე, მდივნებად პ. მანჯგალაძე და გ. ბელთაძე.

იგლიტაშვილი.

## მუშათა შორის

### სამხედრო სტამბაში მომუშავე ჯარისკაცების წერილის გამო.

(კომისიის დასკვნა)

გაზეთ „ერთობა“-ში № 69 მოთავსებულ სამინისტროს სტამბაში მომუშავე ჯარისკაცების წერილის ამავე სტამბის გამგის პოლკოვნიკი ჩაჰოძის საქციელის შესახებ, მთავრობამ პოლკოვნიკ ჩაჰოძის თხოვნისამებრ საქმის გამოსაძიებლად და ბრალდებების თავიდან ასაცილებლათ, დაინიშნა კომისია: სამხედრო, შინაგან საქმეთა და შრომის სამინისტროების წარმომადგენელთაგან.

კომისია შესდგა სამხედრო და შრომის სამინისტროს წარმომადგენლებისგან 7 აპრილს 1919 წელს დილის 10 საათზე.

სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელი ვლადიმერ თურქიაშვილი, პოლკოვნიკი, და შრომის სამინისტროსგან ს. ფანცხავა.

საქმის გამოსაძიებლად წარმომადგენლებმა მოიწვია ორივე მხარე, როგორც ჯარისკაცები, ისე პოლკ. ჩაჰოძე.

ბევრი მსჯელობის შემდეგ კომისიამ ბევრ საკითხში ვერ დაინახა ჯარისკაცების მხრივ საბუთიანი ბრალდებები და ორივე მხარე მოარიგა.

ქვემოთ აღვნიშნავთ იმ კითხვებს, რომლებშიაც მოხდა შეთანხმება.

პირველი კითხვა: რა გაჭირვებას განიცდიან ჯარისკაცები სტამბის უფროსის სასტიკი ზომებით. თავის მხრივ ამაზე კომისიამ ორივე მხარის მოსმენის შემდეგ დაადგინა, რომ ჯარისკაცები არ არიან ნებით დაქირავებული მუშები და მათზე არ გატარდება ის კანონები, რომელიც ნებით დაქირავებულ მუშებზე, არამედ—სამხედრო წესდების ძალით უნდა გატარდეს. „შინა სამსახურის წესდება“, რასაც კანონისამებრ ასრულებს პოლკოვნიკი ჩაჰოძე. კომისია შენიშნავს, როგორც ზოგიერთ დოკუმენტებიდან სჩანს, პოლკოვნიკი ჩაჰოძე ძალიან ხშირად ეხმარება ჯარისკაცებს და აჭარბებს კიდეც წესდებას.

2) ჯარისკაცები, აცხადებენ ისინი, მოკლებულნი არიან ეკონომიურათ და პოლიტიკურათ ყოველივეს. ამაზე კომისიამ შეათანხმა ორივე მხარე. ამდენი ხანი ტანისამოსი არ ყოფილა და არც მიუღიათ, ხოლო როცა მიუღიათ, მაშინვე დაურიგებიათ იმ ჯარისკაცებისთვის, რომელნიც გაჭირვებას განიცდიდენ, ყველას, რასაკვირველია, არა რგებია, რადგანაც ის კომისია, რომელიც ანაწილებდა ტანისამოსს, ბევრს არა ცოდნია, თუ ტანისამოსს არიგებენ და ერთი ორი ჯარისკაცი დარჩენილა უტანისამოსოთ, რის შესახებ მაშინვე მიუღიათ ზომები.

ეხლა ყველა სუფთათ და მთელ ტანისამოსშია. ერთი მათგანი, რომელიც უშადგროთ დარჩენილა, პოლკ. მიუმართავს და უთქვამს: „აქ პროტექციონიზმია“. ამაზე პოლკ. უპასუხნია: „მაგ გვარ მიმართვისთვის ციხეში გაგგზავნი“. თუმცა ეს არ შეუსრულებია, მხოლოდ წესდების ძალით მქონდა უფლება.

ეკონომიურ ბრალდებას იმაში სდებენ, რომ ვითომ პოლკ. სადილის საქმე ვერ მოაგვარა. კომისიამ დაინახა, რომ სტამბაში მომუშავენი იღებენ სადილს საყარაულო როტიდან, ხოლო ხშირად დროზე არ მოდით და ხანდახან კი ცოტა არ ჰყოფნის ჯარის კაცებს. ამაზე მიღებული ყოფილა ზომები პოლკ. მხრივ, ხოლო ჯარის კაცებს არაფერი სცოდნიათ. პოლკოვნიკი იმაზედაც დათანხმა ჯარის კაცების მოთხოვნილებას, ვინაიდან თქვენ გინდათ აქვე კეთდებოდეს თქვენი სადილი, ამაზე ვიზრუნებ, სადაც ჯერ არის და შეიძლება მოგვარდესო. კომისიამ დაავალა პოლკოვნიკს სადილის საქმე გაუუმჯობესოს ჯარის კაცებს, ვინაიდან 8 საათის ნამუშევარ ადამიანს საყოფი საჭმელიც უნდა ჰქონდეს. (ბრალი უტანისამოსოთ დატოვებაში კომისიამ დაადვა იმ კომისიას, რომელიც ტანისამოსს ანაწილებდა.)

პოლიტიკურ უფლებას რაც შეეხება, ამის უფლებას პოლკ. არ აძლევს და წესდების ძალით არც აქვს უფლება, რომ არ შეზღუდოს ისინი პოლიტიკურად, ე. ი. დაუშალოს არა პარტიული კრება, ლაპარაკი, წიგნ-გაზეთის კითხვა ან რაიმე, არამედ ჯარის კაცს არა აქვს უფლება გამგის რომელიმე კომპეტენციაში ჩაერიოს, მაგ. ჯარის კაცის დათხოვნა, ციხეში გაგზავნა და სხ. (შინ. წესდების 29).

მეორე საკითხის შესახებ კომისიამ შეთანხმებით მიიღო, რომ პოლკოვნიკი ჩაჰოძე მოქცეულა კანონიერათ, ვინაიდან საჩუქარს არ აძლევდა, მაშინ, როცა ზედმეტ მუშაობას ასრულებდენ გაზ. „სოციალ დემოკრატზე“ და ამით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ, ხოლო სამართლიანათ სცნო ისიც, რომ ზედმეტ მუშაობის აღმასრულებელნი, ვინაიდან 800 მანეთამდე აკეთებდენ, ორმაგ ჯამაგირს ვერ აიღებდნენ. მეორე, კომისიამ ისიც დაინახა, რომ პოლკოვნიკი ჩაჰოძე აძლევს ყოველთვიურათ ჯარისკაცებს საჩუქარს თითოს 80 მანეთს. თუმცა ამის უფლება არა აქვს, რადგანაც სამინისტროს დადგენილებით, ყოველ ექვს თვეზე სტამბამ უნდა იანგარიშოს მოგება და იმისი მიხედვით 10 პროცენტები უნდა განაწილდეს მომუშავე ჯარის კაცებზე, თუმცა იმას ჩაჰოძე არ სჩადის, ვინაიდან ყოველთვიურათ აკმაყოფილებს 80 მან. ჯარისკაცებს. ამაში კომისიას არ დაუნახავს არავითარი ბრალდება ჩაჰოძის შესახებ და კომისიამ წინადადება მისცა მოიქცეს ისე, როგორც წესდება ეუბნება.

მეოთხე საკითხი, სადაც ციხეში გაგზავნის საკითხს ეხებოდა, ჯარისკაცებმა აღიარეს, რომ ისინი შესცდნენ, როცა ეს აღნიშნეს გაზეთში, ვინაიდან არ იცოდნენ თუ შინა სამსახურის წესდების 29 მუხლი მართლა აძლევს უფლებას სტამბის გამგეს დამოუკიდებლობას და კომისიამაც იცნო, რომ ჩაჰოძე მართალა კანონიერათ მოქცეულა.

იმ ბრალდებას, რომელსაც აყენებენ ჩაჰოძის წინააღმდეგ, ვითომ მთავრობას აგინოს, ამის შესახებ კომისიამ გამოძიება მოახდინა, მაგრამ ერთმა მხარემ დაამტკიცა, მე არ მითქვამსო, ხოლო ჯარისკაცები კი ერთხმათ განაგრძობენ, ოთხის გარდა, რომ თქვაო (ეს ოთხი კაცი სტამბაში მოსამსახურეა).

კომისია მივიდა დასკვნამდე, რომელშიაც ჯარისკაცების წარმომადგენელმაც ი. ხომერიკმა მიიღო მონაწილეობა, რომ საკითხი ღიათ დატოვა, ვინაიდან არ შეთანხმებულდნენ, თუმცა კომისიას თავის საკუთარი აზრი აქვს, რომ ჩაჰოძე ამას არ იტყოდა, ვინაიდან ის თვითონ ამ მთავრობის მომხრე და მცველია.

საერთოთ კომისიამ უნდა თქვას თავის აზრი, რომ ეს ბრალდებები სულ უნაყოფოა და უსაფუძვლო და კომისია დარწმუნებულია, როგორც ჯარისკაცები აღნიშნავენ, რომ უმთავრესი მიზეზი წერილის დაწერის ყოფილა ჩაჰოძის მიერ მთავრობის ვალად სხვა, თორემ ამას ისინი ვერ იზამდენ, რადგან ფაქტები საბუთის დროს ძლიერ სუსტი და დაბნეულად წამოაყენეს.

სისუფთავე დაცულია, ჩაის და სარეცხის სახარშავი ქვაბი ძალიან კარგათ აქვთ მოწყობილი სამზარეულოში. საბნებ-საბურავიც სუფთა, თბილი და მთელი, თავისუფლებაც სრული.

კომისია ორივე მხარეს უსურვებს შეთანხმებით ნაყოფიერ მუშაობას.

კომისიის წევრები: პოდპოლკოვნიკი ოქუაშვილი, შრომის სამინისტროს წარმომადგენელი ს. ფანცხავა, ჯარისკაცების წარმომადგენელი: ი. ხომერიკი.

## პროვინცია

**ხონი.** ხონის რაიონის მომრიგებელ მსაჯულად სამაზრო ერობამ აირჩია კ. ქუთათელაძე, რომელიც, დარწმუნებული ვართ, რომ პირნათლად შეასრულებს ნაკისრ მოვალეობას. ბ. ქუთათელაძემ აქვე ანკე უნდა იცოდეს, რომ იოლი საქმე არა აქვს გასაკეთებელი: მან პრესტიჟი უნდა აღადგინოს იმ დაწესებულების, რომლის სახელი ერთობ შელახულია ხალხის თვალში. ვინ იცის, რას არ ლაპარაკობენ ადგილობრივ სასამართლოს შესახებ? ბევრია ისეთი, რომელიც მოსამართლეს პირდაპირ მექრთამეობას აბრალებს. იმასაც ამტკიცებენ, რომ ბ. მოსამართლე შესაძლებლად სცნობს ერთ და იმავე დღეს ერთ და იმავე საქმეზე სხვადასხვა გავლენათა მეოხებით ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე განაჩენი გამოიტანოს. გარდა ამისა, ხონის სასამართლოში დღესაც ძველებურად მოკალათებულნი არიან ნიკოლოზის დროინდელი კერძო ადვოკატები, რომელთა ვინაობა მთელ რაიონში ცნობილია და რომელთა მეოხებით კეთდება ბევრი შავი საქმე. ეს ვაჟბატონები საკმაოდ შეეგუენ ახალ რეჟიმს და ასე კანონმოცემულნი ბეჯითად განაგრძობენ ხალხის ტყავების და საქვეყნო საქმეების მოკვარახჭინებას. ახალმა მოსამართლემ უნდა იცოდეს, რომ სანამ ეს გაიძვერა ადვოკატები ახვევიან სასამართლოს, მას ხალხის თვალში ნდობა არ ექნება, ამიტომ პირველი საქმე ამ ვაჟბატონების თავიდან ჩამოშორებაა. თუ ეს ბ. ქუთათელაძემ ვერ შესძლო, მაშინ ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ისღა დარჩენიათ, რომ საკუთარის ძალღონით გასწმინდონ სასამართლო აშკარა კონტრრევოლიუციონერებისაგან.

— ბოლო ხანებამდის თფილისის გაზეთები სამტრედიიდან მოდიოდა, საქმე ისე უხეიროთ იყო მოწყობილი, რომ ხშირათ კვირაში ერთხელაც ვერ ვღებულობდით გაზეთებს. ახლა კი გაზეთებს გზავნის ქუთაისიდან ი. კვაცარიძე, რომლის წყალობით ხონი ყოველ დღე ღებულობს სულიერ საზრდოს.

— აპრილის გასულს რაიონში მოხდება წვრილ საერობო ერთეულის ხმოსანთა არჩევნები.

— აქ მძვინვარებს შავი სახადი, ყელჭირვება, ყვავილი და სხვ. მართალია, ექიმთა რიცხვი საკმაო გვყავს, მაგრამ რა გამოვიდა: ერთ ვერსზე წაყვანა რამდენიმე ასეულ მანეთი დაჯდება,—ჯერ მეიტლეს ვერ აძლევ და მერე ექიმს, 60 მან. ვიზიტზე ჩვეულებრივი საფასურია, ზოგიერთ შემთხვევაში ასი მანეთიც კი მიაქვთ. არწმუნებენ, ერთმა ექიმმა „ისპანკის“ დროს ათასი მანეთი აიღო ერთ დღეს.

ა—ი.

— —

**ხ. შაჩიანი (გორის მაზრა).** 29 მარტს ს. ვარიანში მოწვეულ იქნა კოოპერატივ „სხივის“ წევრთა კრება. კრებას დაესწრო უმეტესობა წევრებისა. კოოპერატივის თავმჯდომარე ალექსანდრე გოგებაშვილი ხსნის კრებას. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ინსტრუქტორი კოტე კორძახია, მდივნათ კი მასწავლებელი ამავე სოფლისა ქეთევან ჯინჭველაშვილი. პირველათ მოხსენებას აკეთებს კოტე კორძახია. იგი აცნობს წევრებს კოოპერატივის შემოსავალ-გასავალს, საქონლის რაოდენობას, ღირებულებას და სხვა. კრება ამ ანგარიშს იღებს. მერე ხდება გამგეობის და ნოქრის არჩევნები. გამგეობის წევრათ არჩეულ იქნა ნიკა ურჯუმელაშვილი, თავმჯდომარეთ ალექსანდრე გოგებაშვილი, ხაზინადრათ კოლა ადეიშვილი. ნოქარი არჩეულ იქნა ისევ ძველი ვანე სირბილაძე. არჩეულ იქნა აგრეთვე სარევიზიო კომისია, რომელშიაც შევიდა 4 კაცი: ქეთევან ჯინჭველაშვილი, მიხა კოკაური, დათა კერესელიძე და ზალიკო ადეიშვილი. გადაწყვეტილ იქნა გამგეობის თავმჯდომარეს ჯამაგირი 10 თუმანი და გორში სახარჯო ფული—ხაზინადარს კი—დღიური ქირა. აგრეთვე კრებამ გადაწყვიტა ურმის ქირა ვარიანიდან გორამდე 6 თუმანი. დაჯილდოვებულ იქნა სამი გამგეობის წევრი მუყაით შრომისთვის 15 თუმნით. დადგენილ იქნა აგრეთვე, რომ სავაჭრო წიგნაკში წარმოება იქმნეს აუცილებლათ. კრებაზე ამის გარდა გამოცხადებულ იქნა გაფლანგული ფული—კრებამ კიდეც დაადასტურა ძველ ხაზინადარზე ლადო მაჩაბელზე. კრებამ იგი დამნაშავეთ იცნო.

ქ. ხ.

## წერილი რედ. მიმართ

„ერთობის“ 79 ნომერში მოთავსებულია სოციალ-დემოკრატ ასოთ-აწყობის წერილი.

მე არ მიმაჩნია საჭიროთ აქვე შევუდგე იმ არგუმენტაციების განხილვას, თუ ვინ არიან „ნამდვილი“ მეთაურნი და ინიციატორები იმ განხეთქილების, რომელმაც ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენ კავშირში მწვავე ხასიათი მიიღო. მსურს ყურადღება ერთ რამეს მივაქციო.

წერილში, სხვათა შორის, ნათქვამია, თითქოს მე ვიყო შტრეიკბრეხერი. მე არ გამოვდივარ სხვების დამცველად. ჩემს შესახებ კი შევეკითხები წერილის ავტორს: სად, რომელ ქვეყანაში და ადგილას გახლდით მე „შტრეიკბრეხერი?“ რაში გამოიხატება ჩემი ნაციონალ-შოვინისტობა და ლენინის მომხრეობა?

თუ წერილის ავტორს ჩემს წინააღმდეგ მართლა რაიმე საბუთი აქვს, ვსთხოვ გამომყვეს სამედიატორო სასამართლოში. განცხადება უნდა შემოიტანოს ბეჭდვითი საქმის კავშირის გამგეობაში არა უგვიანეს 17 აპრილისა. ჩემის მხრით ვასახელებ ამხანაგ ასოთ-აწყობ მანასე გოგუაძეს, ნ. ილიტოვსკის და შრომის კომისარის, ამხ. ელიაკიანს.

ასოთ-აწყობი ს. კილაძე.

1919 წ., 14 აპრილი.

---

ჩემი პასუხი.

მე ს. კილაძესთვის შტრეიკბრეხერი არ მიწოდებია. ვინც მყავდა მხედველობაში, როგორც ასეთი, თითონაც კარგათ იცის, რაც შეეხება „არა საიმედოს“—აქ მხედველობაში მქონდა მისი მოქმედება და ლაპარაკი—როგორც საქართველოს რესპუბლიკის მოწინააღმდეგისა. ჩემს წერილში მე ვახასიათებდი მთელს ჯგუფს, რომელშიაც შედიან სხვადასხვა მიმართულების მუშები და რომელსაც ემხრობა ს. კილაძეც.

სოც. დემ. ასოთ აწყობი.

# განცხადებანი

## ქართული ლატარია

დავინებოთ თავი
ყველაფერს და ყველას!
ერთი კითხვა მწვავე
ახლა ითხოვს შველას.
ჯერ არ დაგვიგვიანდა,
ლატარიის ბედი!
ხელოვნება გვინდა
განათლების სვეტი.
ეხლა ლექსი აქებს,
ჩვენი ქვეყნის მმართველს,
ყველა მოქალაქეს,
ყველა ერთგულ ქართველს:
მოგვეშურეთ მალე
ჩვენ გასწავლით გზასა...
სწრაფად დაიცალა,
ბილეთების კასა!
მსურს მუდამ ვუმღერო,
ერს სხვა ფიქრით გართულს:
„მიაშურე ერო,
ლატარიას ქართულს“.

ექიმი
**ლ. ი. ცაგარელი**
შინაგანი სნეულებანი. იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათ. პუშკინის ქუჩა, № 9.

ექიმი
**მ. ფ. მგალობლიშვილი**
ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფობის მიღება ყოველდღე საღ. 5—7 საათ. ოლღის ქ. № 41, ტელ. 9—58.

ექიმი ნ. ა. ზაზრანი.
სპეციალისტი სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით შუადღემდე დილით. მისამ: ოლღის ქ. № 33.

ექიმი
**ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი**
კირპიჩნი ქ. № 49, ანდრეევის ქუჩის კუთხე. ვენერიულ სნეულებათა სპეციალისტი (ძნელი და ხრონიკული სუზუნეტი) სიფილისი და მისი შედეგები, კანის ავადმყოფობანი, „606“ და „914“ შეშხაპუნება. მამაკაც ავადმყოფების მიღება დილის 10—12 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
**გ. გ. მეგრაბიანცი**
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სოლენოიდი და არსონვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.

ექიმი
**ნ. ლ. ტერიაშვილი**
მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს ყოველ დღე შინაგან, საშვილოსნო და ქალურ სნეულებიან ავათმყოფთ დილიდან 12—2 საათ. ნიკოლოზის ქ. № 7 სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

ექიმი
**ბესარიონი კოკოვი**
განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს. მიღება დილ. 11—12 საათ. და საღ. 5—7 საათამდე. მიხეილის პრ. № 117, ტელ. 13—27.

სამკურნალო კაბინეთი ექიმი
**პ. ნ. გოგიტიძისა**
ყოფ. ორდინატორი ვენერ. კლინიკისა სამხ. საექ. აკადემიისა პეტროგრადში. ვენერიული, კანის, სიფილ. შარდის და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. „606“ და „914“ შეშხაპუნება. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, კვირა და უქმე დღეების გარდა, საღამოს 4—6 საათამდის. კაზბეკის ქუჩა, № 11.

ექიმი
**დ. ვ. ჯავახიშვილი**
იღებს მუშებს და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიბის ქ. № 41, ტელ. № 14—60.

ექიმი
**კეკელია**
იღებს ვენერიულ სნეულებიან ავათმყოფ (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილ 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამ თი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრ „ნორდ“ პირდაპირ. ტელ. 14—28.

დოქტორი
**მ. გოლდშტეინი**
ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდი მთავარი ჰოსპიტალისა და ჟენევის უნი ვერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 10—1 საათამ და 4—7 საათამდე. ნიკოლოზის ქუჩ № 32.

ექიმი-ქალი
**რ. გ. შიშლო-საგაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივე სიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქ ირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა სამშობიარო დახ გებას. სიფილისის წამლობა ახალი მ თოდებით. დილის 10—12 ს. და საღ მოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119 ტელეფონი № 9—26.

**ექ. დ. ი. ჯაფარიძე**
ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის ცხვირის სნეულებით ავათმყოფებს დ ლის 12—1 ნახ. საათ., საღამოს 5— საათ. მისამართი: მადათოვის ქ. № ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელე ფონი 16—65.

მედიცინის დოქტორი
**ალ. გ. მაჭავარიანი.**
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღა მოს 5—7 საათ. კვირაობის გარდა. მ ხეილის ქუჩა სახლი ადამოვისა № 111 (მე-2 ფლიგელ) ეზოს ტელეფონი № 4

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

## სააღდგომო რეპერტუარი

ორშაბათი 21 აპრილი
დილით ხორის ბენეფისი „აბესალომ და ეთერი“. | საღამოს სამსონ და დალილა.
სამშაბათი 22 აპრილი
დილით რუსლან და ლიუდმილა. | საღამოს საბანეევას მონაწილეობით ტრავიატა.
ოთხშაბათი 23 აპრილი
დილით—აიდა. | საღამოს—კარმენი.
ხუთშაბათი 24 აპრილი
დირიჟორ სტოლერმანის ბენეფისი 1) სევილიელი დალაქი —საბანეევას მონაწილეობით. 2) ალეკო—ალიშკოს მონაწილეობით.
პარასკევი 25 აპრილი.
ნ. პ. ფილაშვილის ბენეფისი მე 10 ჯერ აბესალომ და ეთერი.
შაბათი 26 აპრილი
ალიშკოს მონაწილეობით „პიკოვაია დამა“.
კვირა 27 აპრილი
დილით: 1) კატა, თხა და ცხვარი, 2) 7 თიკანი. 3) წითელი ქუდი. | საღამოს ფაუსტი.

## სელტერსკისა და ხილეულობის წყლების მექარხნეთ საყურადღებოთ

ბორჯომის სახელმწიფო მამულის მმართველობამ მოაწყო ახალი წესით ქ მჟავიან წყლის, მშრალი და უწყლო ნახშირმჟავა გაზის მომზადება და ურჩევს მე ქარხნეებს მით დააგაზონ წყლები. გაზი 60 ატმოსფერამდე შეკუმშული, მოთავსებულია ბალონებში და იწონის, წმინდა გაზი უბალონოდ, 10 გირვანქას. ღი 250 მან. ჭურჭელი არ გაიყიდება, ხოლო ჭურჭლისათვის წამღები სტოვებს გა საკუთრებულ საწინდარს.

მექარხნეები, რომლებიც წარმოადგენენ ბალონებს, გირვანქა გაზი მიეცემა 25 მანეთად. დასაკვეთად და ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ ბორჯომის სახელმწიფო მამულის მთავარ კანტორას ქ. ბორჯომში.

(2—1) ბორჯომის სახელმწ. მამულის გამგე ინჟინერი გ. ს. ხუნდაძე.

აპრილის დამლევს „დიდების ტაძარში“, ქართველ მხატვართა საზოგადოების მი ერ გაიმართება

## თანამედროვე ქართულ მხატვრობისა და ქანდაკების გამოფენა

საზოგადოება მოუწოდებს ყველა ქართველ მხატვრებს მიიღონ მონაწილეობ განზრახულ გამოფენაში. გამოფენის პირობები:

1) სურათები მიიღება 25 აპრილამდე. 2) სურათები უნდა იქნეს გამოგზავნილი შემდეგი მისამართით: თფილისი, გოლოვინის პროსპ. სახლი № 13, „დიდების ტაძარი“, ქართველ მხატვართა საზოგადოების სახელზე. სურათები მიიღება ყოველ დღე, საღამოს 4—7 ს. კვირა უქმე დღეს კი დილის 11—2 საათამდე. თფილისს გარეთ მცხოვრებ მხატვრებს შეუძლიათ სურათები გამოგზავნონ ფოსტით. 3) სურათი უნდა იყვეს მოთავსებული ჩარჩოში, და საზოგადოთ უნდა ჰქონდეს გამოფენილი წესიერი სახე. 4) სურათის ზურგზედ უეჭველად უნდა იყვეს აღნიშნული მხატვრის სახელი, გვარი და მისამართი, სურათის სახელწოდება. წელიწადი სურათის დახატვისა და მისი ფასი. 5) საზოგადოების სახელზე უნდა იქნეს გამოგზავნილი დაწვრილებითი ბარათი, სურათების რიცხვის, სახელწოდების, თითოეულ სურათის ფასის და სხვა ცნობების აღნიშვნით. 6) თანახმად ქართ მხატვ. საზოგ. წესდებისა გაყიდულ სურათების თანხის 10 პრო. გადადის საზოგადოების სასარგებლოთ. (4—2)

## შაქარი

სასურსათო განყოფილება ქალაქის თვითმართველობისა, აცხადებს თფილისის მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ მიმდინარე წლის 15 აპრილიდან განაწილ იანვრის თვის შაქრის დარიგება; თითო გირვანქა სულზე, 4 მ. 40 კაპ. გირვანქ შაქარი მიეცემა მოქალაქეთ მხოლოდ საუბნო და სარაიონო კომიტეტების საშუ ლებით.

(2—2) სასურსათო განყოფილება თფ. ქალ. თვითმართველობისა.

[illegible]